პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 198 (11202) | ხუთშაბათი, 28 აგვისტო, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურ კომისიაში (1-ლი გვერდი).

„მშვიდობისა და სოციალიზმის პრობლემები" (1-ლი გვერდი).

პარტიული განათლების მაღალი იდეური დონისათვის, ცხოვრებასთან პროპაგანდის მჭიდრო კავშირისათვის (მე-2 გვერდი).

2.000.000 ტონა სილოსისათვის.— **დ. გუგავა.** — დავუმზადოთ პირუტყვს მეტი წვნიანი საკვები (მე-2 გვერდი).

გ. ვარდოსანიძე, ვ. ცირეკიძე. — მეგობრობის ფესვები (მე-3 გვერდი).

კომკავშირის მე-40 წლისთავის შესახვედრად. — **ზ. მერკვილაძე.** — ახალგაზრდების ძალით (მე-3 გვერდი).

დ. ბიწაძე, რ. ჯავანაძე. — ბელს დედაქალაქის ბრიგადისტებისადმი მარაგების საქმეში (მე-3 გვერდი).

საბჭოთა მთავრობის ნოტა იტალიის მთავრობისადმი (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

აზიისა და აფრიკის ქვეყნების საერთაშორისო კონფერენციაზე (მე-4 გვერდი).

ლირსეულად შევხვდეთ ლენინური კომკავშირის სახელოვან იუბილეს

29 ოქტომბერს საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმს — ლენინურ კომკავშირს — ორმოცი წელი უსრულდება. ეს არის მშრომელი ბრძოლებისა და თავგადებული შრომის სახელოვანი ორმოცი წელი. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობის განუხრელი ზრდის, წინსვლისა და აღმავლობის ისტორიული წლები. უკვდავი იდეებით მოსილი ორმოცი წლის ოქტელი დღე, ყოველი საათი კომკავშირმა მიუძღვნა საყვარელი საშობლოს აყვავებისათვის ბრძოლას, მშობლიური კომუნისტური პარტიის საქმის გამარჯვებას. გაუხრელად მიჰყვება რა კომუნისტური პარტიის საბრძოლო ტრადიციებს, კომკავშირმა განოწრო და განამტკიცა თავისი რიგები ბის ცეცხლსა და მშვიდობიან შენებლობაში, ცხადყო თავისი სახელოვნო ერთგულება მარქსიზმ-ენინიზმის დიადი იდეებისადმი. პარტიის პოლიტიკა, მისი გადაყვეტილებანი და მითითებანი კომკავშირის საბრძოლო სამოქმედო პროგრამაა და საფუძვლად დევს მთელ მის მოღვაწეობას. კომკავშირის ძალა პარტიულ ელმძღვანელობაშია.

ორმოცი წლისთავი ღირსშესანიშნავი თარიღია ლენინური კომკავშირის ისტორიაში. საბჭოთა ახალგაზრდობა, მთელი ჩვენი ხალხი ემზადებიან ღირსეულად აღნიშნონ ეს სახელოვანი იუბილე. კომკავშირის მე-40 წლისთავისადმი ეზადება მიმდინარეობს პარტიის XX ყრილობისა და XXII ენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების ისტორიულ დადგენილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით. კომკავშირელები, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდები კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მათი ურყევი გადაწყვეტილებაა ახალი საბჭოთა საქმეებით ასახელონ სოციალისტური საშობლო.

საბჭოთა საქართველოს კომკავშირელები და ახალგაზრდები ოდესი აღმავლობით ემზადებიან იმისათვის, რომ კონკრეტული საქმეებით. საკავშირო ალკა XIII ყრილობის გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელებისა ერთ აღნიშნონ კომკავშირის მე-40 ლისთავი. სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე ახალგაზრდობა თვალთოდ აჩაღებს კომკავშირის მე-40 წლისთავას აღნიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას. რუსთავის და ქუთაისის ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს მოქმედ ქიმიურ საწარმოთა გაფართოებაში.

რესპუბლიკის ქვანახშირის რაიონების — ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის ახალგაზრდა შახტელები ახალ წარმატებებს წევენ მეტი და მაღალხარისხოანი სათბობისათვის ბრძოლაში. შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეს სუბტროპიკული რაიონების ახალგაზრდებმა. მათ იკისრეს ნაცვლად 70 ათასი ტონისა, რაც საქართველოს ალკა XXII ყრილობის გადაწყვეტილებით იყო გათვალისწინებული, მოკრიფონ 90 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამ ახალი, დიდი ვალდებულების შ ე ს ა ს რ უ ლ ებ ლ ად თავდადებით შრომობენ აფხაზეთისა და აჭარის, მახარაძის, ზუგდიდის, წყალტუბოს და ბევრი სხვა რაიონის ახალგაზრდა მკრეფავები.

წელს საქართველოში უნდა დამზადდეს ორი მილიონი ტონა სილოსი. რესპუბლიკის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა გამოაცხადეს ლაშქრობა იმისათვის, რომ დაამზადონ ერთი მილიონი ტონა სილოსი. საგარეჯოს რაიონის ახალგაზრდობამ ვალდებულება აიღო სილოსის დამზადების რაიონული გეგმა ძირითადად საკუთარი ძალებით შეასრულოს და ახლა თავდადებით შრომობს ამ ვალდებულების პრაქტიკულად განხორციელებისათვის. საგარეჯოელთა მაგალითისამებრ საკვების, კერძოდ, სილოსის დამზადების გეგმების შესრულებაში აქტიურად მონაწილეობენ ყვარლის, დმანისის, ბოგდანოვკის, ახალციხის და სხვა რაიონების კომკავშირელები და ახალგაზრდები.

თბილისის, სოხუმის, ბათუმის, სტალინირის, ქუთაისის კომკავშირულ ორგანიზაციებში დიდი მუშაობაა გაშლილი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის, ეწყობა მეგობრობის საღამოები, ახალგაზრდობის შეხვედრა კომკავშირის ვეტერანებთან. იკითხება ლექციები და მოხსენებები კომკავშირის მე-40 წლისთავთან დაკავშირებით. მაგრამ ზოგან ჯერ კიდევ ფართოდ არ გაუჩაღებიათ მზადება კომკავშირის სახელოვანი იუბილესათვის. მთელი მონდომებით ახალი ძალით უნდა გვიჩვენონ ჩვენი ახალგაზრდობის მთელი მგზნებარება და გაქანება.

ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავისათვის მზადება დიდ ამოცანებს აკისრებს არა მარტო კომკავშირულ, არამედ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებსაც. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან შემდგომ გააძლიერონ და გააუმჯობესონ კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა, აქტიურად დაუჭირონ მხარი ახალგაზრდობის ყოველ საქმიან თაოსნობასა და წამოწყებას, ყოველი ღონისძიებით აამაღლონ კომკავშირელთა როლი და აქტივობა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

კომკავშირელებო და ახალგაზრდებო! ფართოდ გავაჩაღოთ მზადება ღირსშესანიშნავი თარიღისათვის, ახალი წარმატებებით გავახაროთ მშობლიური კომუნისტური პარტია და საყვარელი სამშობლო! ლენინური კომკავშირის სახელოვან იუბილეს — ღირსეული შეხვედრა.

საბჭოთა საქართველოს დღე

★

დიდი ოქტომბრის 41-ე წლისთავის აღსანიშნავად

ბათუმის ნავსადგურში

ბათუმი. (საკ. კორ.). დღისით და ღამით არ წყდება მუშაობა ბათუმის საზღვაო ნავსადგურში (უფროსი შ. სიმონიშვილი). რეიდზე და ნავსადგურში ერთმანეთს ცვლიან საოკეანო და საზღვაო ხომალდები. აქ ყველა უბანზე გაშლილია დიდი ოქტომბრის რევოლუციის 41-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება.

ნავსადგურის საწარმოო უბნებზე სულ უფრო ფართოდ ინერგება მუშაობის მოწინავე მეთოდები. ამით აიხსნება, რომ ნავსადგურის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა რვა თვის დავალება, გეგმის გადამეტებით სხვადასხვა მიმართულებით გაგზავნილია დიდძალი სახალხო-სამეურნეო ტვირთები. ეს წარმატება მოპოვებულია დისპეტჩერთა, მტვირთავთა, ელექტროამწეების, მემანქანეთა, ავტომობილების მძღოლთა მაღალნაყოფიერი თავდადებული შრომით. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ნავსადგურში შემოსული ყველა გემი დაამუშაონ მხოლოდ ჩქაროსნული მეთოდით და ვადაზე ადრე გაუშვან მორიგ რეისში.



გასულ წელს დაიწყო ტრესტ „ტყვარჩელნახშირის" მერვე შახტ-ჰესის შენებლობა. შახტის შენებლებმა აითვისეს გასვლის სწრაფი მეთოდი და უკვე გაიარეს ათას მეტრზე მეტი. მეშახტეთა დღისათვის გამსვლელებმა იკისრეს ახალი შახტ-ჰესის წოლხვრელის სიგრძე აიყვანონ 1,100 მეტრამდე.

სურათზე: „ტყვარჩელნახშირის" მე-8 შახტ-ჰესის შენებლობაზე (მარცხნიდან მარჯვნივ): შენებლობის ხელმძღვანელი ინჟინერი ი. ლომია, გამსვლელთა ბრიგადირი ნ. ბაბტაძე და უბნის უფროსი ვ. გობეჯიშვილი.

ფოტო ნ. ჯიმიდავანი (საქფოტოს ფოტოქრონიკა).

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება 1958 წლის 25 აგვისტოსათვის

მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში 1958 წლის 25 აგვისტოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 89,7 პროცენტით. მიმდინარე წლის 25 აგვისტოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი დამზადებულია 23.066 ტონით მეტი, ვიდრე შარშან ამავე დროისათვის.

აფხაზეთის სსს რესპუბლიკაში, აჭარის სსს რესპუბლიკაში და საქართველოს სსრ ცალკეულ რაიონებში გეგმის შესრულება შეადგენს პროცენტობით:

აფხაზეთის სსრ	—	94,7
აჭარის სსრ	—	87,1
მახარაძის რაიონი	—	88,7
ჩოხატაურის „	—	83,9
ლანჩხუთის „	—	82,6
სამტრედიის „	—	87,4
წულუკიძის „	—	85,9
ქუთაისის „	—	100,7
წყალტუბოს „	—	106,3
ტყიბულის „	—	119,5
ცხაკაიას „	—	80,6
აბაშის „	—	81,6
გეგეჭკორის „	—	84,4
ზუგდიდის „	—	91,3
წალენჯიხის „	—	92,5
ჩხოროწყუს „	—	89,9
ხობის „	—	91,4
თერჯოლის „	—	116,4
ზესტაფონის „	—	66,7
ჭიათურის „	—	152,5
ვანის „	—	120,0

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

მცხეთა. (საკ. კორ.). შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა მცხეთის რაიკოოპკავშირმა. დაგროვების ანარიცხებით იგი ქალაქში საბავშვო ბაღისათვის აგებს შენობას, რომელზეც 200 ათასი მანეთი დაიხარჯება. კედლები ამოყვანილია, მიმდინარეობს შენობის გადახურვისა და კეთილმოწყობის სამუშაოები.

აგური გეგმის გადამეტებით

კასპი. (საკ. კორ.). მეტეხის აგურის ქარხნის კოლექტივი, რომელსაც მიმდინარე წლის მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით მიკუთვნებული აქვს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია, თავდადებით მუშაობს აგვისტოში. მეტეხელმა მეაგურეებმა აგვისტოს 15 დღის გეგმა 119 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით ასეული ათასობით ცალი აგური გამოუშვეს.

სასახელოდ შრომობენ მწნეხარი ი. ნავროზაშვილი, გამომწვეელები ი. ნუგზარაშვილი, რ. ჭეჭელაშვილი, ნედლი აგურის ჩამწყობი თ. თაგორიძე და მეექსკავატორე ვ. შაქარაშვილი.

თბილისს ექნება დიდი ტყე-პარკი

ვერავინ იტყვის ჩვენს დედაქალაქს მწვანე სამოსელი აკლდეს. პირიქით, ბევრ უცხოელს აღტაცებაც კი გამოუთქვამს თბილისში პარკების, ხეივნების, ყვავილნარების სკვერებისა და გაზონების სიმრავლის გამო.

სამაგიეროდ ვინც ჩვენს ქალაქს კარგად გაეცნობა, დაინახავს რომ მწვანე ნარგავებით შედარებით ღარიბია თბილისის შემოგარენი და იქნებ უცნაურადაც მოეჩვენოს თბილისის წარმოშობასთან დაკავშირებული ლეგენდა ხოხობზე მონადირე ხელმწიფის შესახებ. თუმცა სხვა ისტორიული დოკუმენტებიც მოწმობენ, რომ თბილისის მიდამოები ტყეებით ყოფილა დაფარული. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ჰავა არს მშვენი, მხიარული. გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი, მრავალთა ხილითა და ყვავილითა სავსე".

ეს „წალკოტნი და სავარდენი" დროთა ვითარებაში მტრის ავ ხელსა და უგულო კაცის სიხარბეს გაუფერანებია და შიშველი გორაკებიღა შემოგვრჩა. ახლა ჩვენმა თაობამ გადაწყვიტა კვლავ წალკოტად აქციოს დედაქალაქის მიდამოები და გულდაგულ შეება საქმეს. ამ მხრივ დიდი ნაბიჯი იყო სამგორის ზემო მაგისტრალური არხის გაყვანა და თბილისის ზღვის შექმნა. ამჟამად უკვე რეალურად შეიძლება ფიქრი იმაზე, რომ ახლო მომავალში თბილისის გარშემო მდებარე გადატრუსული გორაკები და ველები კვლავ მწვანე სამოსელით შეიმოსება. მაგრამ ამჯერად არ შეჩერდებით იმ გრანდიოზულ გეგმებსა და შესაძლებლობებზე, რაც თბილისის ზღვასთან არის დაკავშირებული. მოგითხრობთ მხოლოდ ერთ შედარებით პატარა ობიექტზე, რომელიც მალე თბილისის ზღვისა და მთელი ქალაქის მშვენება იქნება. ეს გახლავთ მომავალი დენდროლოგიური პარკი — ტყე-ბაღი.

მისი გაშენება ამ ორი წლის წინათ გადაწყდა. საქმის საერთო ხელმძღვანელობა ითავა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსმა იოსებ ჩოდრიშვილმა. მას მხარში ამოუდგნენ აგრონომები და მეტყევე სპეციალისტები, აკადემიკოსი ვასილ გულისაშვილი, გამოცდილი აგრონომები გარსევან კალანდაძე, გრიგოლ გოცირიძე, ვალერიან მაჭარაძე და სხვები.

გაიშალა წინასწარი საკვლევო და საპროექტო სამუშაოები. პარკი დააპროექტა პროფესორმა ალექსანდრე კოლესნიკოვმა. ბოლოს 1956 წლის გაზაფხულზე ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, ქალაქის მხარეს, შეარჩიეს ადგილი (170 ჰექტარი ტერიტორია) ტყე-ბაღის გასაშენებლად და მუშაობაც გაჩაღდა. აქედან მოკიდებული ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე საქართველოს ყოველი კუთხიდან მოაქვთ

აქ მცენარეები დახარგავად. როცა პარკი მთლიანად შეივსება, იგი საქართველოს ფლორის ნამდვილი მუზეუმი იქნება. აქ წარმოდგენილი იქნება საქართველოში არსებული ტყის ყველა ჯიში — ხე და ბუჩქი. აგრეთვე დედამიწის ზურგზე არსებული ყველა ის ჯიშებიც, რომლებიც აქაურ ჰავას შეეგუებიან.

პარკი ისეა დაგეგმილი, რომ თვალში არ მოგვდეთ ბუჩქების განლაგების სიმეტრიულობა და ხელოვნურობა. იგი ნამდვილი ბუნებრივი ტყის სახეს მიიღებს. ეს იმას არ ნიშნავს, აქ მცენარეები ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე დარგვება. არა. აქ ყოველ ჯიშს თავისი ადგილი ექნება მიჩენილი. სხვადასხვა ჯიშის ხეები ჯგუფებად, კორომებად გაშენდება. თვითეულ ჯგუფში წარმოდგენილი , იქნება აღებული სახეობის ყველა ჯიში, ამასთან ტყეში შესაბამისად დაირგვება თანამგზავრი ბუჩქები. გათვალისწინებულია ისიც, რომ ტყე-პარკი, რომელიც ზღვისპირა ფერდობებსა და გორაკებს დაფარავს, არ დარჩეს გადახვიდების გარეშე.

ხუთ-ექვს წელიწადში ტერიტორია, რომელიც ამ შესანიშნავი ტყე-პარკის გასაშენებლად არის განკუთვნილი, მთლიანად დაიფარება მცენარეულობით. ამჟამად სამუშაოთა უდიდესი ნაწილი უკვე შესრულებულია და, შეიძლება ითქვას, ძირითადი სიძნელეებიც გადალახულია. ეჭვს ბადებდა ნიადაგები: იხარებდნენ თუ არა ამ უნაყოფო ველზე, სადაც ეკალბარდიც კი არ ამოდიოდა, კეთილშობილი მცენარეები? ოღონდ მორწყე და როგორ არ იხარებენ თურმე. ახლა პარკის ტერიტორიაზე უკვე მშვენივრად ხარობს ელდარის ფიჭვი, ჰიმალაის კედარი, ესპანეთის სოჭი, ენგელმანისა და მჩხვლეტავი ნაძვები, მტირალა და იტალიის ფიჭვები, კორპისა და მარადმწვანე მუხები, კვიპაროსები, ჭადრები, კაკლის ხეები, ძელქვები, კანადის ვერხვები და სხვა. ბუჩქნარებიდან დარგეს და ახარეს: ტყისა და მარადმწვანე ძახველი, კოწახური, კვიდო, ხირიისა და ინდოეთის ვარდები. პარკში არის აგრეთვე ხეხილის ბაღი და ჭარბული ვაზის თითქმის ყველა ჯიში.

პარკის გაშენებაში აქტიურად მონაწილეობენ დედაქალაქის მშრომელები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ეს ორი წელია ყოველ გაზაფხულზე და შემოდგომაზე აქ ნახავთ დასახმარებლად მოსულ სტუდენტებს, მოსწავლეებს. ეს ხომ სწორედ მათთვის შენდება. მარტო წელს პარკში 15 ათასი ხე და ბუჩქი დაირგო.

გავა სულ რაღაც ათოთხუთმეტი წელიწადი და თბილისელები ერთმანეთს ზოგადად არ ეტყვიან თბილისის ზღვაზე წავიდეთო, არამედ ზუსტად დასახელებენ იმ ადგილს — პარკს, ხეივანს, კიოეს თუ რესტორანს, რომელიც დასასვენებლად ამოირჩიეს. მათ შორს თბილისის ზღვისპირა ტყე-პარკი ერთ-ერთი საუკეთესო დასასვენებელი ადგილი იქნება.

მ. მიქაძე.

• • •

სურათზე (მარცხნიდან): № 1 უბნის უფროსი ვ. მაჭარაძე, მეტყევე ტექნიკოსი შ. შარიქაძე და ბრიგადირი ა. მაისურაძე სამგორის ტყე-პარკის ახალ ნარგავებთან.

ფოტო გ. გოგოხიასი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურ კომისიაში

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის სხდომა.

დღის წესრიგში შეტანილი იყო: სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების პერსპექტიული გეგმის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესასყიდი ფასების შეცვლის შესახებ წინადადებათა განსახილველად ეკონომიური კომისიის მუშაობის საკითხი და საკოლმეურნეო მშენებლობის მთელი რიგი სხვა საკითხები.

სხდომამ განიხილა აგრეთვე ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის დებულების პროექტი. (საკდესი).

„მშვიდობისა და სოციალიზმის პრობლემები"

გამოვიდა და იყიდება კომუნისტური და მუშათა პარტიების ეორიული და საინფორმაციო ურნალის „მშვიდობისა და სოციალიზმის პრობლემების" პირველი ნომერი. ჟურნალის მთავარ ამოცანები ჩამოყალიბებულია ედაქციო სტატიაში.

ომერში გამოქვეყნებულია მთელი რიგი სტატიები აქტუალურ ემებზე, მათ შორის: ა. ნოვოტნი — მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის; ლი ფუ-ინი — ჩინეთში სოციალიზმის ენებლობის თანამედროვე ეტაპის ძირითადი პრობლემები; გ. ეზერმანი, ბ. უკრაინცევი — ციალიზმი და სახელმწიფო; ქ. დიუკლო — ფაშისტური საფრთხე და რესპუბლიკური ერთიანობა საფრანგეთში; ლ. ტისმანიანუ — ამერიკის კოლონიალიზმი და არაბული აღმოსავლეთი; ო. დლუსკი — გერმანიის მილიტარიზმი საფრთხეს უქმნის მშვიდობას.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აზრთა გაზიარებას, რაც მოაწყო ჟურნალის redაქციამ საკითხზე: „ეკონომიური კრიზისი და მუშათა კლასი" აზრთა გაზიარებაში მონაწილეობა მიიღეს ევროპის, აზიის, აფრიკის, ავსტრალიის ოცზე მეტი ქვეყნის მუშათა მოძრაობის მოღვაწეებმა.

რუბრიკით „კომუნისტური და მუშათა პარტიებში" დაბეჭდილია ინფორმაცია მთელი რიგი მოძმე პარტიების საქმიანობის შესახებ. პირველ ნომერში გამოქვეყნებულია აგრეთვე კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული სტატიები, ანოტაციები, ჟურნალ „მარქსიზმ ტუდეის" მიმოხილვა და წერილი redაქციას.

ჟურნალი „მშვიდობისა და სოციალიზმის პრობლემები" გამოდის ყოველთვიურად რუსულ, ჩინურ, ჩეხურ, გერმანულ, პოლონურ, რუმინულ, ბულგარულ, უნგრულ, კორეიულ, ვიეტნამურ, ალბანურ, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, იტალიურ, შვედურ ენებზე. (საკდესი).

პარტიული განათლების მაღალი იდეური დონისათვის, ცხოვრებასთან პროპაგანდის მჭიდრო კავშირისათვის

რესპუბლიკური თათბირი პარტიული პროპაგანდის საკითხებზე

გრანდიოზული წარმატებები, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მზარდი ძლიერება და შეკავშირება გამოხატავს მარქსისტულ-ლენინური იდეების, მოწინავე სოციალისტური იდეოლოგიის დიად ცხოველმყოფელ და ყოვლისმძლე ძალას. კომუნისტური მშენებლობის ამოცანები პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ შემდგომ გაძლიერონ მუშაობა პარტიული კადრების, ყველა მშრომელის იდეოლოგიური აღზრდის დარგში.

კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური გამოწრთობის, მაღალი კომუნისტური შეგნების სულისკვეთებით მასების აღზრდის უმნიშვნელოვანესი ფორმაა პარტიული განათლების სისტემა.

იდეოლოგიური მუშაობის, პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების საკითხებს მიეძღვნა პარტიის საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივნების, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების, პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების გამგეებისა და იდეოლოგიურ დაწესებულებათა სხვა მუშაკების თათბირი, რომელიც ამ დღეებში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. დოლიძემ. თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. მ. გოგიჩაიშვილის მოხსენება „პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის შედეგებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ამოცანების შესახებ“.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, ხელმძღვანელობდნენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის 21 აგვისტოს დადგენილებით „პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის შედეგებისა და ახალ სასწავლო წელს პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“, მიაღწიეს პარტიული განათლების საქმის რამდენადმე გაუმჯობესებას, თანამედროვეობისაგან პროპაგანდის მოწყვეტის დაძლევას, უფრო კონკრეტულად და კვალიფიციურად იწყეს იდეოლოგიური მუშაობის ხელმძღვანელობა.

განვლილ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემა რესპუბლიკაში ძირითადად სწორად იქნა დაკომპლექტებული. სკოლების, წრეებისა და სემინარების მოქნილმა ქსელმა საშუალება მოგვცა უკეთ დავაკმაყოფილოთ კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის იდეური მოთხოვნილებანი, გავაძლიეროთ კომუნისტების ინტერესი თეორიისადმი. მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლა დაკავშირებულ იქნა სამეურნეო და კულტურ ლი მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან. მთლიანად სწავლება ორგანიზებულად, უფრო მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე, პრაქტიკასთან თეორიის კავშირის გაძლიერების, მედავთნეობისა და თალმეფიზმის დაძლევის, თეორიის შემოქმედებითი გააზრების ნიშნით მიმდინარეობდა.

კომუნისტებმა ღრმად შეისწავლეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თეზისები „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის (1917-1957) ორმოცი წლისთავისათვის“, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მასალები, დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი, რომლებიც მიიღო კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის, მაისის, ივნისის პლენუმების დადგენილებანი.

ამ უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტებმა ყურადღება მიიქციეს, რომ ჩვენი პარტია მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან ერთად შემოქმედებითად ავითარებს და ამდიდრებს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას რევოლუციური მოძრაობისა და სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების მეცნიერული განზოგადების საფუძველზე.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში მარქსისტულ-ლენინური განათლებისათვის 1957-1958 წლებში დამახასიათებელი იყო იმ კომუნისტთა რიცხვის გადიდება, რომლებიც სწავლობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიას, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს, პოლიტიკურ ეკონომიასა და სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკას.

დიდი ყურადღება დაუთმეს პარტორგანიზაციებმა კადრების ეკონომიურ განათლებას. პოლიტიკურ ეკონომიის, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის კონომიკის, ვაჭრობისა და ფინანსების საკითხებს ჩვენს რესპუბლიკაში სწავლობდა 49.905 კაცი. ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, საგვამო, აავაჭრო და საფინანსო ორგანოების მუშაკების ჩაბმამ ეკონომიური ცოდნის პროპაგანდაში ხელი შეუწყო სწავლების ქმედითობის გადიდებას, მის უფრო მჭიდრო კავშირს საწარმოთა და კოლმეურნეობათა საარსებო ამოცანებთან.

პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს სამრეწველო და საკოლმეურნეო წარმოების აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი ეკონომიური კონფერენციების მოწყობის ძვირფასი გამოცდილება.

ამასთან თათბირზე აღნიშნული იყო, რომ ეკონომიური სწავლების ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლია. ზოგიერთი პროპაგანდისტი ივიწყებს, რომ კონკრეტული ეკონომიკის შესწავლა თვითმიზანი კი არ არის, არამედ საშუალებაა მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის.

ცალკეულ წრეებსა და სემინარებში მეცადინეობა იქცეოდა თავისებურ საწარმოო თათბირად. ეკონომიური თეორიის საფუძვლიანად შესწავლას სცვლიდნენ მარტო ვიწრო საწარმოო და ტექნიკური პრობლემების გაცნობით, წარმოების ტექნოლოგიისა და აგროტექნიკის შესწავლით. ამავე დროს კონკრეტული ეკონომიკის შესწავლისას საჭიროა ღრმად გავიაზროთ მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური მეცნიერებისა პოზიციიდან პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო პოლიტიკა, განვმარტოთ მისი მჭიდრო კავშირი საწარმოთა და კოლმეურნეობათა პრაქტიკულ ამოცანებთან.

კამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ პარტიული განათლების სისტემაში ჯერ კიდევ არ დაუკავებია ჯეროვანი ადგილი კადრების, განსაკუთრებით მეცნიერული, პედაგოგიური და მედიცინის მუშაკების, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეების ფილოსოფიურ განათლებას.

სერიოზული ნაკლი ფილოსოფიური წრეებისა და სემინარების მუშაობაში, და არა მარტო მათ მუშაობაში, არის ის, რომ მეცადინეობაზე არ წარმოებს ჩვენი იდეური მოწინააღმდეგეების — სხვადასხვა ჯურის რევიზიონისტების, რეაქციული ბურჟუაზიული ფილოსოფიისა და სოციოლოგიის წარმომადგენლების ღრმა კრიტიკა. თათბირზე აღნიშნავდნენ თანამედროვე რევიზიონიზმის მხილების განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და აქტუალობას, რევიზიონიზმისა, რომელიც საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში მთავარ საფრთხეს წარმოადგენს, რა ნიღბითაც უნდა გამოდიოდეს იგი.

თათბირმა საფუძვლიანად განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შესწავლის ორგანიზაციის საკითხი, ისტორიისა, რომელიც კომუნისტებს აიარაღებს საზოგადოებრივი განვითარებისა და კომუნიზმის მშენებლობის კანონების ცოდნით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ღრმა გაგებით. გასულ სასწავლო წელს პარტიის ისტორიის წრეებსა და სემინარებში ჩაბმული იყო, აგრეთვე დამოუკიდებლად სწავლობდა 73.301 კაცი — იმ კომუნისტთა მთელი რაოდენობის თითქმის ნახევარი, რომლებიც პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობენ.

ზოგიერთ წრესა და სემინარში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შესწავლა მიმდინარეობდა დაბალ დონეზე. არ აწყობდნენ საკითხების შემოქმედებითს განხილვას, ცოცხალ, ამხანაგურ დისკუსიებს. ყველა პროპაგანდისტი უნარიანად და სწორად როდი იყენებდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა უმდიდრეს თეორიულ მემკვიდრეობას, ვ. ი. ლენინისა და მისი მოწაფეების შრომებს, პარტიის ყრილობების, კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებისა და სხვა დოკუმენტებს, რომლებშიც გამოხატულია პარტიის კოლექტიური აზრი. ჯერ კიდევ არ ექცეოდა საკმაო ყურადღება ჩვენი პარტიის ისტორიის ოქტომბრისშემდგომი პერიოდის შესწავლას, პარტიის ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის, სოციალიზმის ამენებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ 1957-1958 სასწავლო წელს რესპუბლიკის პარტიული განათლების სისტემაში შექმნილი იყო თითქმის ორჯერ მეტი პოლიტსკოლა, ვიდრე 1956-1957 წლებში, მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არ არის დაძლეული პარტიული განათლების დაწყებითი საფეხურის შეუფასებლობა.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლა კადრების იდეურ-თეორიული მომზადების მთავარი, ძირითადი მეთოდია. ჩვენს რესპუბლიკაში გასულ სასწავლო წელს მარქსიზმ-ლენინიზმს დამოუკიდებლად ეუფლებოდა 103 ათასამდე კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი. ბევრმა მათგანმა მნიშვნელოვნად შეიცვალა ცოდნა, შეიძინა წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები.

მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავდნენ თათბირზე, დამოუკიდებლად შესწავლის მეთოდი ვერ ითმენ, თვითდინებას, მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიურ ხელმძღვანელობას, დახმარებას კომუნისტებისადმი, რომლებიც პოლიტიკურ თვითგანათლებას ეწევიან. ამ საქმეში განსაკუთრებით ბევრი ხარვეზი და ნაკლია. ყველა, ვინც მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელად ითვლება, რეგულარულად როდი კითხულობს ლიტერატურას, როდი დადის ლექციებზე ან მონაწილეობს თეორიულ გასაუბრებაში.

თათბირის მთელმა რიგმა მონაწილეებმა აღძრეს საკითხი, რომ მომავალ სასწავლო წელს საჭიროა უფრო მოფიქრებულად და სერიოზულად მივუდგეთ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტების დაკომპლექტებას.

პარტიული პროპაგანდის ხარისხი დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა ლექტორებზე. თათბირმა დიდი ყურადღება დაუთმო პროპაგანდისტთა შერჩევისა და მომზადების საკითხებს. რესპუბლიკაში არის კვალიფიციურ პროპაგანდისტთა საუცხოო კადრები, რომლებსაც სიყვარულით შეაქვთ მასებში მარქსისტულ-ლენინური ცოდნა. მათგან დიდ უმრავლესობას მიღებული აქვს უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება.

თათბირის მონაწილენი ეხებოდნენ აგრეთვე შეცდომებს, რომლებიც ცალკეულმა პარტორგანიზაციებმა დაუშვეს პროპაგანდისტთა კადრების შერჩევის დროს.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა განამტკიცონ პროპაგანდისტთა შემადგენლობა, გაგზავნონ მათგან საუკეთესონი, ყველაზე მომზადებულნი პოლიტსკოლების, მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრეების, პოლიტიკური განათლების კომკავშირული ქსელის წრეებისა და სკოლების ხელმძღვანელებად, მუდმივად იზრუნონ პროპაგანდისტთა იდეურ-თეორიული დონისა და მეთოდური ოსტატობის ამაღლებისათვის.

კამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა უფრო ფართოდ ჩავაბათ საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივნები და პარტიული აპარატის სხვა მუშაკები პრაქტიკულ პროპაგანდისტულ საქმიანობაში. მათი აქტიური მონაწილეობა იდეოლოგიურ მუშაობაში დაგვეხმარება უფრო ღრმად ჩავწვდეთ მის შინაარსს და საქმის ცოდნით ვუხელმძღვანელოთ მას.

რათა მეტი დახმარება გაეწიოს პროპაგანდისტებს მომავალ სასწავლო წელს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება იწყებს „პროპაგანდისტის ბიბლიოთეკების“ გამოცემას ქართულ ენაზე. ბიბლიოთეკის შემადგენლობაში იქნება სერია ბროშურებისა პროპაგანდისტული მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესახებ, სანმეშო საგანგებო გეგმები და ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები.

თათბირზე აღნიშნავდნენ პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების დიდ ამოცანებს. საჭიროა ავამაღლოთ მათი მაორგანიზებელი როლი კომუნისტებისა და უპარტიო ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინურ აღზრდაში, ავამაღლოთ მათი ლექციების, სემინარების, თეორიული კონფერენციების, კონსულტაციების იდეურ-თეორიული დონე. პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების მთელი მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ უშუალოდ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში.

ამ ბოლო დროს ლექციური პროპაგანდის ხარისხი რესპუბლიკაში გაუმჯობესდა. მისი თემატიკა გაფართოვდა, იგი უფრო ქმედითი გახდა. მარტო პარტიული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფების ძალებით 1957 წელსა და 1958 წლის პირველ ნახევარში წაკითხულ იქნა 17 ათასზე მეტი ლექცია მარქსისტულ-ლენინური თეორიის სხვადასხვა საკითხზე. ლექციური პროპაგანდა გაუთმაღლესა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა რესპუბლიკურმა საზოგადოებამ.

მიუხედავად ამისა, ბევრი ლექციის ხარისხი, იდეური შინაარსი ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. ამას ადასტურებს, კერძოდ, ის, რომ ციკლურ ლექციებზე დასწრება არადამაკმაყოფილებელია.

კამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფი ჯერ კიდევ ვერ უწევს საკმაო დახმარებას პარტიული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფებს.

კამათის მთელი რიგი მონაწილენი ეხებოდნენ ბეჭდვითი პროპაგანდის როლის შემდგომი ამაღლების საკითხს. აღნიშნავდნენ, რომ რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთები ჯერ კიდევ აზვიადად ათავსებენ თავიანთ ფურცლებზე პროპაგანდისტთა წერილებს, რომლებშიც გარჩეულია წრეების, სემინარების მეცადინეობა, ლექციები.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის ორგანიზებული მომზადების უმნიშვნელოვანესი პირობაა პარტიული პროპაგანდის ხელმძღვანელობის შემდგომი გაძლიერება პარტიული კომიტეტების ბრივ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. მ. კაფრინდაშვილმა ილაპარაკა იმაზე, რომ საქართველოს დედაქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში ეკონომიურ განათლებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაფართოვდა კადრების პოლიტიკური განათლების ისეთი ფორმები, როგორიც არის პოლიტსკოლები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისა და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემსწავლელი წრეები და სემინარები. თბილისის პარტორგანიზაციის 13 ათასზე მეტი კომუნისტი და უპარტიო აქტივი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ეუფლებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიასა და ისტორიას, 12 ათასი სწავლობდა პოლიტიკური ეკონომიისა და კონკრეტული ეკონომიკის საკითხებს, 5.000-ზე მეტი — მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას. რეკლამიური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად ქალაქის პარტიული კომიტეტებს ლექტორებმა წაკითხეს 1000-ზე მეტი ლექცია.

თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გაიჩაღეს ახალი საავლო წლისათვის მოსამზადებლად. სერიოზული ყურადღება ექცევა პარტიული განათლების ქსელის სწორ დაკომპლექტებას, პროპაგანდისტთა სემინარების პირველ მეცადინეობას, მომზადებასა და მოწყობას.

იმაზე, თუ როგორ ემზადებიან აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დაწყებისათვის, ილაპარაკა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. მ. ხვარაკაძემ. ამ ბოლო დროს აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციაში მეტ ყურადღებას უთმობენ კომუნისტებს, რომლებიც პოლიტიკურ თვითგანათლებას ეწევიან. მათ დასახმარებლად პარტიული კომიტეტები აწყობდნენ ლექციებს, მოხსენებებს, კონსულტაციებს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ, იქ, სადაც კომუნისტები, რომელნიც ჩვენი პარტიის ისტორიასა და თეორიას დამოუკიდებლად სწავლობენ, სისტემატურ დახმარებას არ უწევენ, მათი თვითგანათლება დაყენებულია ფორმალურად, მიმდინარეობს თვითდინებით.

ახალ სასწავლო წელს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს დასახული აქვს გამართოს მთელი რიგი კარგად მომზადებული თეორიული კონფერენციები და გასაუბრება მათთან, ვინც დამოუკიდებლად სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმს, ფართოდ გამოიყენოს კომუნისტების პოლიტიკური თვითგანათლებისადმი კონტროლის ეს შემოწმებული, მიზანშეწონილი ფორმა.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. კ. დოლიძე ლაპარაკობს დამახასიათებელზე, რაც დაუშვიათ შარშან ცალკეულ პარტორგანიზაციებს (ხულოს, შუახევის რაიონები) პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტების დროს. მას საჭიროდ მიაჩნია სათანადო გაკვეთილი მიიღონ აქედან, უფრო სერიოზულად განსაზღვრონ წრეებისა და სკოლების შემადგენლობა მომავალ წელს, ამასთან ზუსტად გაითვალისწინონ კომუნისტების სურვილი და მომზადება. აგი აღნიშნავს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც შემჩნეულია აჭარის ინტელიგენციის, შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაკების მარქსისტულ-ლენინურ აღზრდაში. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები არასაკმაო ყურადღებას აქცევენ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შესწავლას. მაგალითად, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ბათუმში იყო მხოლოდ 4 თეორიული ფილოსოფიური სემინარი, რომლებშიც 92 მსმენელი ირიცხებოდა.

ორატორი ეხება პროპაგანდისტთა კადრების მომზადებისა და დახელოვნების საკითხებს. მას მიაჩნია, რომ პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ მეტად ცოტა რამეს აკეთებენ, რათა შეაგროვონ და განაზოგადონ პროპაგანდისტული საქმიანობის უკეთესი გამოცდილება, და წინადადება შეაქვს გამოცდილების შესწავლისა და გაზიარების მიზნით მოეწყოს პროპაგანდისტების მივლინება ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორია მოადგილემ ამხ. ნ. მახარაძემ თავისი გამოსვლა მიუძღვნა საქართველოს კომპარტიის ისტორიის მეცნიერული დამუშავების საკითხებს. მან ილაპარაკა დიდ მუშაობაზე, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის კოლექტივმა შეასრულა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების“ 1-ლი ნაწილის მოსამზადებლად, კომუნისტური ორგანიზაციების გამოჩენილ მოღვაწეთა ბიოგრაფიული მასალების გამოსაცემად, საქართველოს ბოლშევიკური პრესის ისტორიის, კომკავშირის ისტორიისა და სხვა საკითხთა დასამუშავებლად.

ამხ. მახარაძე ამბობს, რომ ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა მეტი დახმარება უნდა გაგიწიონ საქართველოს კომპარტიის ისტორიის მეცნიერულად დამუშავებაში, იმ ძვირფასი მასალებისა და დოკუმენტების შეგროვებაში, რაც რაიონებში მოიპოვება რევოლუციური ბრძოლის შესახებ. მან აღძრა საკითხი, რომ უფრო ფართოდ გამოიცეს საცნობარო ლიტერატურა, აგრეთვე გამოშვებულ იქნას სპეციალური ჟურნალი პროპაგანდისტების დასახმარებლად.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ს. ფხაკაძემ ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე, რომელსაც ქუთაისის პარტორგანიზაცია ეწევა, რათა პროპაგანდისტთა კადრებს ჰქონდეთ მასალები ადგილობრივ საწარმოთა ეკონომიკისა და მათი პრაქტიკული ამოცანების საკითხებზე.

შემდეგ ორატორმა ილაპარაკა პროპაგანდისტული მუშაობის ნაკლოვანებებზე. საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე ლექტორების კადრებს, რომელნიც ქუთაისში არიან, დახმარება და კვალიფიკაციის ამაღლება ესაჭიროებათ. პროპაგანდისტები არ არიან უზრუნველყოფილი ნაბეჭდი მასალებით კონკრეტული ეკონომიკის საკითხებზე.

გასული სასწავლო წლის გამოცდილებამ, — თქვა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ზ. ცხოვრებოვმა, — დაგვანახვა, რომ პარტიული განათლების სტრუქტურა კიდევ უფრო სრულყოფილი გახდა, იგი უფრო შეესაბამება კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის იდეურ მოთხოვნილებებს. გაიზარდა მსმენელთა ინტერესი სწავლისადმი, გაძლიერდა მათი აქტივობა.

სამხრეთ ოსეთის პარტიულ ორგანიზაციათა პროპაგანდისტული მუშაობის სერიოზულ პრობლემად, ამბობს ამხ. ცხოვრებოვი, ჯერ კიდევ რჩება ის, რომ პროპაგანდა საკმაოდ არ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან და საწარმოთა და კოლმეურნეობათა პრაქტიკულ ამოცანებთან.

პარტიის ახალქალაქის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. კ. კარახანიანი აღნიშნავს, რომ პარტიული ორგანიზაციები სუსტად იზიდავენ პარტიული განათლების სისტემაში უპარტიო აქტივს, ქალებს. ზოგიერთ კომუნისტს, რომლებიც სოფელ ადგილებში მუშაობენ, პარტორგანიზაციების დახმარება ესაჭიროება თავიანთი ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის ამაღლების საქმეში. გას საჭიროდ მიაჩნია, რომ რაიონის კომუნისტები უკეთ იქნენ უზრუნველყოფილნი სასწავლო ლიტერატურით სომხურ ენაზე.

მაგრამ ამხ. კარახანიანს, რომელმაც დაწვრილებით ილაპარაკა პარტიული განათლების მდგომარეობაზე რაიონში, რატომღაც არაფერი უთქვამს პარტიის რაიკომისა და მისი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების სუსტ მუშაობაზე, დუმილით აუარა გვერდი სერიოზულ შეცდომებს, რომლებიც დაშვებულია კოლმეურნეთა შორის მასობრივ პოლიტიკურ მუშაობაში.

საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ე. შევარდნაძე ეხება კომკავშირული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. იგი აღნიშნავს, რომ კომკავშირელებსა და ახალგაზრდობაში ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული ეკონომიური ცოდნის პროპაგანდა. ამბროლაურის, გურჯაანის, ქარელისა და ზოგიერთ სხვა რაიონში ახალგაზრდობისათვის არც ერთი წრე არ არის შექმნილი კონკრეტული ეკონომიკის შესასწავლად.

კომკავშირული განათლების ქსელში ჯერ კიდევ ვხვდებით შაბლონსა და ფორმალიზმს. სწავლა ყოველთვის როდია დაკავშირებული ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

ახლა, როცა ახალგაზრდობა ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავის შესახვედრად ემზადება, განსაკუთრებით მწვავედ დგება ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების გაუმჯობესების საკითხი. უნდა გავაცნოთ მათ კომკავშირის სახელოვანი ისტორია, ის, თუ რა მონაწილეობას იღებდა კომკავშირი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობაში, გავაცნოთ მისი საუკეთესო შვილები.

ამხ. შევარდნაძე ამბობს, რომ საჭიროა გაძლიერდეს პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდისათვის მაღალი კომუნისტური შეგნებულობის, პატრიოტისა და სამშობლოსადმი ერთგულების სულისკვეთებით, ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ნონიკაშვილი ახასიათებს რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა ქალაქის კომუნისტთა ეკონომიური სწავლის დიდ გაქანებას. გასულ სასწავლო წელს აქ ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი 18 სემინარი და 2 წრე. სემინარის მეცადინეობამ სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინ საამქროში ხელი შეუწყო წარმოების ახალი რეზერვების გამოვლენებასა და გამოყენებას.

პროპაგანდისტთა მეცადინეობის ორგანიზებული და გეგმაზომიერი მოწყობისათვის პროპაგანდისტთა პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხი აღძრა პარტიის თელავის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. გ. მირიმანიშვილმა. მან თქვა აგრეთვე, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გამოიცეს ლიტერატურა პროპაგანდისტთა დასახმარებლად ქართულ ენაზე.

თათბირმა ყოველმხრივ განიხილა მომავალ სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების მოწყობისა და შინაარსის საკითხები, დასახა ამოცანა კიდევ უფრო ამაღლდეს მისი იდეურ-თეორიული დონე, გაძლიერდეს პროპაგანდის კავშირი ცხოვრებასთან, არ იქნას დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებანი, რომლებიც იყო გასულ სასწავლო წელს.

პარტორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის საკითხებისადმი მიძღვნილი ვრცელი სიტყვა თათბირზე წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. დოლიძემ. (საქდესი).

2.000.000 ტონა სილოსისათვის

★

დავუმზადოთ პირუტყვს მეჯი წვნიანი საკვები

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულმა ამოცანამ — დავამზადოთ რესპუბლიკაში 2 მილიონი ტონა სილოსი — დიდი ვალდებულება დააკისრა კომკავშირის პირველადს ორგანიზაციებს, კომკავშირის რაიკომებსა და საოლქო კომიტეტებს. საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები დროულად გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას და ვალდებულება იკისრეს კომკავშირელების, მთელი ახალგაზრდობის ძალებით დაამზადონ ერთი მილიონი ტონა სილოსი.

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ჩამოყალიბდა შტაბი, რომელსაც დაევალა კონკრეტული ხელმძღვანელობა გაუწიოს სილოსის დამზადების საქმეში რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას. პირველადი კომკავშირული ორგანიზაციებისადმი უფრო ოპერატიული და ყოველდღიური ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად ანალოგიური შტაბები ჩამოყალიბდა სასოფლო რაიკომებში. ყველა საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციაში განიხილეს კომკავშირელები წ. წიქარიშვილი, მ. ელდიანშვილი და ლ. ქიტუაშვილი. სასახელო მიღწევები აქვთ საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობა „საქართველოს“ ახალგაზრდებს. მარტო ის რად ღირს, რომ საშუალო სკოლის 30-მდე კურსდამთავრებული კოლმეურნეობის ფერმებში მუშაობს. თავიანთი ძირითადი საქმის პარალელურად ახალგაზრდებმა ვალდებულება იკისრეს თავიანთი ძალებით დაამზადონ 13.500 ტონა სილოსი. აგვისტოს პირველ დეკადაში მათ უკვე მოასწრეს 1.500 ტონა სილოსის დამზადება. სასილოსე მასის აღების გეგმას ყოველდღიურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს იმ აგრეგატის კოლექტივი, რომელსაც კომკავშირელი ოთარ მათიაშვილი ხელმძღვანელობს. სასილოსე კოშკებს დილიდან გვიან საღამამდე თავს დასტრიალებენ კომკავშირელები შ. ჭიაურელი, შ. თედიაშვილი, შ. ბედიაშვილი, ნ. ქურხული, ვ. მჭედლიშვილი, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები — ფ. მთვარსძე, ჯ. ჯორბენაძე, გ. გოდერძიშვილი, ვ. ლაფაშვილი, გ. ქარსელაძე და ბევრი სხვა.

20 აგვისტოსათვის დმანისის რაიონში გეგმით გათვალისწინებული 40.000 ტონა სილოსიდან უკვე დამზადებული იყო 32.747 ტონა. ამ სასახელო საქმეში ღირსეული წვლილი შეიტანეს რაიონის ახალგაზრდებმა. სოფელ ჯავახის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ მთლიანად შეასრულა სილოსის დამზადების გეგმა. 1.200 ტონა სილოსიდან კომკავშირელებმა დაამზადეს 960 ტონა. სილოსის დამზადებაში თავი ისახელეს კომკავშირელებმა პ. ბეჟუაშვილმა, ე. ადუაშვილმა, ნ. ანდიაშვილმა, შ. ადუაშვილმა და სხვებმა.

ვალდებულებით ნაკისრი 1.440 ტონა სილოსიდან უკვე დაამზადა 1.040 ტონა სოფელ განთიადის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში შექმნილმა კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც კომკავშირულ ორგანიზაციის მდივანი გ. ბეკრიაშვილი ხელმძღვანელობს. უკვე შეასრულა სილოსის დამზადების გეგმა სოფელ კამარალოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ. ამაში უდიდესი წვლილი ახალგაზრდობას მიუძღვის.

სულ დმანისის რაიონის ახალგაზრდობამ 2.500 ტონაზე მეტი სილოსი დაამზადა.

ბოგდანოვკის რაიონში გეგმით გათვალისწინებული 31.000 ტონა სილოსიდან 20 აგვისტოს ცნობით დამზადებული იყო 22.600 ტონა, აქედან 16.700 ტონამდე — ახალგაზრდობის მიერ. სილოსის

მეგობრობის ფესვები

★

წერილი ოდესიდან

★

ოდესა — შავი ზღვის სანაპიროს დიდი და მშვენიერი ქალაქი. ფართო და სწორი ქუჩები მთლიანად მწვანეშია ჩაფლული. ადამიანის გულს ახარებს ლამაზი სკვერები, ათასფერი ყვავილებით დამშვენებული გაზონები, შესანიშნავი რუსული კლასიკური სტილით ნაგები შენობები.

ზღაპრულად ლამაზ ამ ქალაქ-ბაღში ყველაფერზე მეტად მაინც ადამიანები გიზიდავენ. მათ ბევრჯერ უსახელებიათ თავი შრომასა და ბრძოლაში. ოდესელი მეზღვაურები ზღვებისა და ოკეანეების ალბერტებულ ტალღებში უშიშრად მიაქროლებენ უზარმაზარ ექსპრესებს, დედამიწის ერთი კუთხიდან მეორეში გადაჰყავთ მგზავრები, გადაიქეთ სხვადასხვა ტვირთი.



ზღვისპირა ქალაქში მრავალი ეროვნების ადამიანებს შეხვდებით. უკრაინელის გვერდით შრომობს ყირგიზი და თურქმენი, თათარი და მოლდაველი, აზერბაიჯანელი და უზბეკი, ქართველი და სომეხი, ჩერქეზი და ბაშკირი. ამიტომ არის, რომ ოდესას ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ქალაქს უწოდებენ...

ოდესაში კარგად იცნობენ ქართველ მეზღვაურს კაპიტან ი. სტურუას. იგი წლების მანძილზე უშიშრად და შეუფერხებლად ატარებს ხომალდს. თავდადებული შრომით, სამშობლოსადმი უანგარო სამსახურით ოდესელების პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს სამგზავრო ექსპრესის „ბელოგოსტოკის“ კაპიტანმა ს. დონდუამ, გამოცდილმა მეზღვაურებმა ა. ჯაფარიძემ, გ. ჩხიკვაძემ და სხვ. ისინი ოდესელ ქართველთა ახალი თაობის წარმომადგენლები არიან. საბჭოთა ხელისუფლების წლებში დამკვიდრდნენ ზღვისპირა ქალაქში, შეიყვარეს და შეისისხლხორცეს იგი.

ოდესაში ცხოვრობს და მუშაობს 73 წლის მოხუცი ექიმი ვლას ჩხეიძე. როცა მისი სამუშაო ოთახის კარი შეეღებოდა, ჩვენს თვალწინ წარმოდგა გაჭაღარავებული, მეტად სანდომიანი სახის მოხუცი. მას ავადმყოფები ვეგონეთ. რაკი ქართველებად შეგვიცნო, ერთბაშად დაიბნა, აფუსფუსდა.

ვლას ჩხეიძეს 1907 წელს დაუმთავრებია ქუთაისის გიმნაზია და სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად უმაღლესი ცოდნის მისაღებად ოდესაში წამოსულა.

— ქართველებს, — თქვა მან, — საშუალება არ გვქონდა სწავლა-აღზრდა სამშობლოში მიგვეღო, ჩვენში მაშინ არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ იყო. იძულებული ვიყავით ცოდნის საძიებლად საქართველოდან შორს წავსულიყავით, ბევრი ქართველი ახალგაზრდა მოისწრაფოდა ოდესაში...

კარი ხმაურით გაიღო და ოთახში ახალგაზრდა მეზღვაური შემოიჭრა. მას ავადმყოფობის არაფერი ემჩნეოდა. ეს იყო ახოვანი, ძვალმსხვილი, ცისფერთვალგებიანი ჭაბუკი, რომელიც ლაპარაკობდა ხმამაღლა და ექიმს ეხეოდა, როგორც შვილი დიდი ხნის უნახავ მოხუც მამას.

მეზღვაურმა ხუთიოდე წუთში ბევრის თქმა მოასწრო, იგი ამ დილით დაბრუნებულა სამხრეთ ამერიკიდან. ნავსადგურიდან მოხუცთან შემოიარა. როცა იგი წავიდა, ექიმმა თქვა:

— არ დაიჯერებთ, რომ ეს ახალგაზრდა რამდენიმე თვის წინათ უგონოდ იწვა ლოგინზე და სიკვდილს ებრძოდა. ძლივს გადავარჩინეთ.

მეზღვაურის წასვლიდ შემდეგ თითქოს ერთბაშად დაცარიელდა ოთახი. სიჩუმე ჩამოვარდა.

ექიმმა ოთახში გაიარ-გამოიარა. იფიქრებდით, რაღაცას იგონებსო. შემდეგ გამოღებულ ფანჯარასთან სავარძელში ჩაჯდა და შეწყვეტილი საუბარი განაგრძო.

— იმ წელს საქართველოდან ოთხმოცამდე ახალგაზრდა ჩამოვედით. მათგან ბევრმა მიიღო უმაღლესი განათლება. ზოგი საქართველოში დაბრუნდა. მე აქვე დავრჩი სამუშაოდ და ნახევარ საუკუნეზე მეტია ოდესაში ვცხოვრობ. ეს ქალაქი ჩემი მშობლიური ქუთაისივით შემიყვარდა...

მოხუცი კარგა ხანს გაჰყურებდა ქალაქს გამოღებული ფანჯრიდან, საიდანაც ხელის გულივით მოჩანს ოდესის ნავსადგურის შესანიშნავი პანორამა. ვრცელ მანძილზე გადაჭიმულან ნავმისადგომები, სადაც თვალს იტაცებს მრავალსართულიანი მცურავი სახლები — სატვირთო გემები და მშვენიერი სამგზავრო ლაინერები.

მოხუცმა მოიგონა თავისი დირსეული მასწავლებლები, გამოჩენილი ქართველი მეცნიერები — დ ა მ ს ა ხ უ რ ებ ი, პროფესორი, ნოვოროსიის უნივერსიტეტის რექტორი ვასილ პეტრიაშვილი და პროფესორი პეტრე მელიქიშვილი.

— ქართველი სტუდენტობა ახლოს ვიყავით ჩვენს სახელოვან თანამემამულეებთან, — თქვა ვლასმა, — ისინი არა მარტო ცოდნის შეძენის წყურვილს გვიღვიძებდნენ, არამედ სიყვარულსაც გვინერგავდნენ სამშობლოსადმი. ჩვენთან, ქართველ სტუდენტებთან ერთად არაერთხელ უოცნებია ვასილ პეტრიაშვილს იმ დროზე, როცა ქართველი ახალგაზრდები უმაღლეს განათლებას სამშობლოში მიიღებდნენ.

გამომშვიდობებისას მოხუცი ისევ აფუსფუსდა, როგორც მაშინ, როცა გაიგო, რომ ქართველები ვეწვიეთ. აღარ იცოდა, რა ეთქვა, რა მოემოქმედა. მესამე სართულიდან მაღალ კიბეებზე ძირს ჩამოგვაცილა.

ყოფილი ნოვოროსიის, ამჟამად ოდესის ი. მეჩნიკოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყურადღებას აპყრობს ფართო აუდიტორიებით, ლაბორატორიებით, დიდი საქტო დარბაზით. შესანიშნავი ბიბლიოთეკით.

ნოვოროსიის უნივერსიტეტმა მრავალი ქართველი ახიარა ცოდნას. აქ აღიზარდნენ ცნობილი პოეტი დიმიტრი ხოშტარია (დუტუ მეგრელი), მედიცინის გაჯოჩენილი მოღვაწე პროფესორი ს. ყიფშიძე და მრავალი სხვა. ამ უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული გამოჩენილი რუსი მეცნიერების — მეჩნიკოვის, სეჩენოვის, კოვალევსკის, ზელინსკის და სხვათა საქმიანობა.

უნივერსიტეტს შესანიშნავი რევოლუციური ტრადიციები აქვს. აქ ქართველი სტუდენტები უკრაინელ, რუს და სხვა ეროვნების სტუდენტებთან ერთად 1905 წელს აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციურ გამოსვლებში. ამ უნივერსიტეტში ათეული წლების მანძილზე იქედებოდა და მტკიცდებოდა ქართველი ხალხისა და უკრაინელი ხალხის ძმური მეგობრობა.

უკრაინელი და ქართველი ხალხების ტრადიციულ მეგობრობაზე მრავალი სხვა ფაქტიც მეტყველებს. ოდესელები კარგად იცნობენ შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, აკაკი წერეთლის და ქართული კლასიკური და საბჭოთა მწერლობის ბევრი სხვა წარმომადგენლის შემოქმედებას. საღამოობით საცხოვრებელი სახლების ღია ფანჯრებიდან „სულკოს“ და „ციცინათელას“ ტკბილ ჰანგებს გაიგონებთ. ამ დღეებში მშრომელთა მოთხოვნით ქალაქის ერთ-ერთ ახალ ქუჩას რუსთაველის სახელი მიეკუთვნა.

— ოდესელები, — გვითხრა ამ ქუჩის მკვიდრმა, — დიდ პატივს ვცემთ ქართველ ხალხს, ამიტომ ჩვენს ქუჩას უკვდავი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის სახელი ვუწოდეთ. დაე კიდევ უფრო მტკიცდებოდეს და იფურჩქნებოდეს ჩვენი ხალხების ძმობა და მეგობრობა.

გ. ვარდოსანიძე,
ვ. ცირეკიძე.

ოდესა. 1958 წელი. აგვისტო.

* * *

სურათზე: ოდესის ი. ი. მეჩნიკოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ფოტო გ. ვარდოსანიძისა.

კომკავშირის მე-40 წლისთავის შესახვედრად

ახალგაზრდების ძალით

საუკეთესო ინიციატივა გამოიჩინეს ჩვენი ქვეყნის კომკავშირლებმა და ახალგაზრდებმა. ჯერ კიდევ ალკ XIII ყრილობის მზადების დღეებში მათ გადაწყვიტეს მოაწყონ ბრძოლა საწარმოებში ლითონის ეკონომიურად ხარჯვისა და არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებისათვის. ამ მიზნით მოეწყო დანადგარების სრული დატვირთვით და ლითონის ეკონომიურად ხარჯვის საკავშირო „მსუბუქი კავალერიის“ ორთვენახევრიანი რეიდი.

ამ მნიშვნელოვან კამპანიაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუსთავის ახალგაზრდა მეტალურგებმა, ქიმიკოსებმა, მეცენატებმა, მშენებლებმა. შეიქმნა „მსუბუქი კავალერიის“ 82 რაზმი და ბრიგადა. ერთ-ერთმა ბრიგადამ გამოარკვია, რომ მარტენის ღუმელების მუშაობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა ღუმელებში ლითონის ჯართის ჩატვირთვის შეფერხება. მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო იყო ალუმინის გამტარები, რომლებიც ქარხანას არ აღმოაჩნდა. მაშინ „მსუბუქი კავალერიის“ ბრიგადამ წერილი გაუგზავნა ერევნელ კომკავშირელებს და სთხოვა მათ დახმარება. მალე სომეხმა ახალგაზრდა მეკაბელეებმა დიდი რაოდენობით გამოგზავნეს ალუმინის გამტარები. ამან მდგომარეობა გამოასწორა.

ახალგაზრდებმა შეამჩნიეს, რომ ქარხანაში არ იყენებდნენ ალუმინის ფხვნილს, რომელიც საწყობში დიდი რაოდენობით იყო. ეს საკითხი მათ პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანეს, დაუმტკიცეს საამქროს ხელმძღვანელებს, რომ ალუმინის ფხვნილის გამოყენებით ეკონომიას მიაღწევდნენ. ახალგაზრდების რჩევა მართლაც სასარგებლო გამოდგა, მისი განხორციელების შედეგად ქარხანა თვეში 50 ათასი მანეთის ეკონომიას აღწევს.

„მსუბუქი კავალერიის“ რაზმის ინიციატივით მეტალურგიულ ქარხანაში რემონტი გაუკეთდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მრავალი წინათ უმოქმედო მექანიზმი.

ბევრი ღონისძიება განახორციელეს აზოტოვანი სასუქების ქარხნის ახალგაზრდებმაც. მათი მოთხოვნით საექსპლოატაციოდ გადასცეს აგრეგატი, რამაც ხელი შეუწყო პროდუქციის გამოშვების ზრდას. ახალგაზრდა ქიმიკოსების ინიციატივით ქარხანაში მოეწყო საკონდენსაციო ქოთნების დროული და მაღალხარისხოვანი რემონტი, რამაც აღმოფხვრა აირის დანაკარგები. ამის შედეგად ქარხანაში დაზოგილ იქნა 40 ათასი მანეთი.

ამ დღეებში შეაჯამეს „მსუბუქი კავალერიის“ რაზმებისა და ბრიგადების მიერ გაწეული მუშაობა. გამოირკვა, რომ რუსთავის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა სახელმწიფოს 450.000 მანეთი დაუზოგეს.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



ოჩამჩირე. კინოთეატრის შენობა.

ფოტო ნ. ჯომიდავანი (საქდესის ფოტოქრონიკა).

რა უშლის ხელს დედაქალაქის ბიბლიობოსტნეულით მომარაგებას

დილადრიან ჩვეულებრივად ფართოდ იღება თბილხილბოსტანეაჭრობის № 10 მაღაზიის კარი.

— ატამი გაქვთ? — კითხულობს მომხმარებელი.

— არა!

— ქლიავი?

— არც ქლიავი.

— მსხალი მაინც თუ გაქვთ?

— არც მსხალი გვაქვს.

— ყურძენი ხომ არ მიგიღიათ?

— არა.

არა და არა. თითქმის ყოველ კითხვაზე ასეთ პასუხს იღებენ მომხმარებლები და გაწბილებული ტოვებენ მაღაზიას.

ასე კი აქ ხშირად ხდება. მაღაზიაში მეტწილად მხოლოდ ვაშლით ვაჭრობენ. ისიც უხარისხო, გადასარჩევი, დაზიანებული.

ხილი და ბოსტნეული ძალიან შეზღუდული ასორტიმენტით იყიდება № № 1, 3, 7, 33, 29 მაღაზიებში. თუმცა გეგმას ასრულებენ, თანაც იოლი გზით. ფართოდ ვაჭრობენ ალკოჰოლიანი, მაგარი სასმელებით.

რაშია საქმე? რატომ არ არის თბილხილბოსტანეაჭრობის მაღაზიებში ახალი ხილი, ბოსტნეული?

დედაქალაქის ხილბოსტნეულით მომარაგებაში მრავალი ხელისშემშლელი მიზეზია. მათ შორის მთავარია საჭირო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა არაოპერატიულობა, მოუქნელი და უსისტემო საქმიანობა.

სამეურნეო წლის დაწყებიდან თბილხილბოსტანეაჭრობა ვერ ასრულებს დედაქალაქში პროდუქტების შემოზიდვის გეგმას. სეპნაში უნდა შემოზიდონ 16.760 ტონა ბოსტნეული, 21 აგვისტოსათვის შემოზიდულია 5.104 ტონა, რაც წლიური გეგმის მხოლოდ 30,5 პროცენტს შეადგენს. ასევე ხილი ტემპით წარმოვებს ხილისა და ბაღჩეულის, აგრეთვე კარტოფილის შემოზიდვა.

ეს ხდება მაშინ, როცა წელს ამ კულტურების კარგი მოსავალია. ნაყოფიც უკითხია სხვა წლებთან შედარებით. ამას იგრძნობთ ხილ-ბოსტნეულის დამამზადებელ პუნქტებში, სადაც კოლმეურნეები მანქანებით თუ ურმით ეზიდებიან ხილსა და ბოსტნეულს.

მაგრამ სანქი ის არის, რომ მიღებული ხილი და ბოსტნეული პუნქტებში კვარაობით ყრია და მისი თბილისში შემოზიდვა დიდი დაგვიანებით ხდება. პროდუქტები ფიფორმაციას განიცდის ან სრულიად ფუჭდება. წელს გარდაბნის მიმღებ პუნქტს კოლმეურნეობებმა დიდძალი კომბოსტო ჩააბარეს. თბილხილბოსტანეაჭრობისა და მისი ბაზის მუშაკებმა ვერ უზრუნველყვეს მისი დროული შემოზიდვა, მაღაზიებში კი კომბოსტოზე დიდი მოთხოვნილებაა. გარდაბნის დამზადების მუშაკები იძულებული გახდნენ 50 ტონა კომბოსტო წნილად ჩაედოთ, რათა იგი გაფუჭებისაგან გადაერჩინათ.

ხილისა და ბოსტნეულის გაფუჭება პირველი შემთხვევა როდია. გარდაბნისა და გაჩიანის პუნქტებში ახლაც „ინახავენ“ ასობით კილოგრამ დამპალ ბადრიჯანს, რამდენიმე ტონა პომიდორს, რაც გაფუჭდა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი თბილისში დროულად ვერ გადმოზიდეს. შემოწმებისას პუნქტში აღმოჩნდა აგრეთვე 15 ტონა პომიდორი, 8 ტონა ატამი, დიდძალი კომბოსტო, ვაშლი, მსხალი, საზამთრო და სხვ. რომლებსაც ხანდაზმულობის გამო ხარისხი დაუკარგავს. გარდაბნის დამზადების რაიონული კანტორის მმართველი ამბ. ა. ალიევი. ამბობს — რაიონში დამზადებული ხილისა და ბოსტნეულის დროული გადაზიდვისათვის ყოველდღიურად საჭიროა არანაკლებ 20-25 სატვირთო ავტომანქანა, ხოლო ზოგჯერ დღეში 5-6 ავტომანქანა თუ მოვა. ისინი შემოსული ხილ-ბოსტნეულის მესამედის გადატანასაც ვერ ასწრებენ.

გარდაბნის რაიონი გამონაკლისი როდია. მარნეულის რაიონის მიმღები პუნქტები, რომ იტყვიან, პირთამდე სავსეა ხილითა და ბოსტნეულით. ეს პროდუქტები ზოგჯერ თბილისში დაკრეფიდან ხუთი-ექვსი დღის დაგვიანებით შემოაქვთ.

შეკითხვაზე, თუ რა აფერხებს ხილ-ბოსტნეულის გადმოზიდვას, თბილხილ-ბოსტანეაჭრობის ბაზის დირექტორი ამხ. კ. გამეზარდაშვილი „ობიექტურ“ მიზეზებს იშველიებს: — ჩვენს განკარგულებაში 52 მანქანაა. აქედან 16 საბურავების უქონლობის გამო დგას, დარჩენილი მანქანები პროდუქტების შემოზიდვას ვერ აღწევენო. ვთქვათ, ეს ასეა, მაგრამ აღნიშნული მანქანებიც არადანიშნულებისამებრ არის გამოყენებული. № № 1, 3, 4, 7, 5, 10, 6 მაღაზიებისა განკარგულებაში ყოველდღიურად თითო სატვირთო მანქანაა. მათ დამოუკიდებლად უნდა აწარმოონ პროდუქტების შემოზიდვა, მაგრამ ზოგიერთი მაღაზიის ხელმძღვანელებს მხოლოდ ის პროდუქტები შემოაქვთ, რომლებიც „ადვილად“ „სარფიანია“, არ ითვალისწინებენ მომხმარებელთა მოთხოვნილებებს.

ხილ-ბოსტნეულის შემოზიდვაში სცოდავს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოც. იგი მოთხოვნილებისამებრ არ უგზავნის ვაგონებს მომმარაგებელ ორგანიზაციებს. გარდაბნის დამზადების რაიონულმა კანტორამ ამას წინათ რკინიგზის სამმართველოს სთხოვა 8 ვაგონი-მაცივარი, მიიღო მხოლოდ 4. ასეთი შემთხვევა ხშირია.

ხილბოსტნეულის ხარისხის გაუარესებაში ბრალი მიუძღვით დამამზადებლებსაც. ზოგჯერ მათ პუნქტებში მიაქვთ უხარისხო, დაჭეჭყანი, გაუსუფთავებელი პროდუქტები. გარდაბნის მიმღებ პუნქტში 23 აგვისტოს ამაკი სოფლის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენელმა ი. სამედოღლიმ მოიტანა ორ ტონამდე სრულიად უხარისხო პომიდორი. ასევე უხარისხო პროდუქტები მოიტანეს აქ გარდაბნის ხილ-ბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობიდან (დირექტორი ვ. ბაძაღლუა). სტანდარტს არ შეეფერებოდა ჯანდარის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობიდან მოტანილი 1,5 ტონა საზამთრო. იმავე 22 აგვისტოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობიდან პუნქტში მოიტანეს ერთი მანქანა კომბოსტო, რომელსაც ლობა ჰქონდა დაწყებული. მიმღები პუნქტის ხელმძღვანელები ბევრჯერ სცოდავენ, დაზიანებულ და უხარისხო პროდუქტებს იღებენ.

ზოგიერთი დამამზადებელი დაინტერესებულია მხოლოდ გეგმის შესრულებით, არ ზრუნავს ხილ-ბოსტნეულის ხარისხისათვის. ხობის რაიკავშირის ხელმძღვანელობამ 10 აგვისტოს გამოგზავნა მეორე ჯგუფის 8.716 კილოგრამი ვაშლი (ფაქტურა № 6). ვაგონი ხილსაკიდში დაიცალა მიღების დღესვე — 13 აგვისტოს. სახელმწიფო ინსპექტორს მიერ შემოწმებისას აღმოჩნდა მთლიანად მესამე ჯგუფის (ადგილობრივი ჯიშები). აქედან სტანდარტული იყო 13,3 პროცენტი, არასტანდარტული — 72,4 პროცენტი, შემპალი — 11,9 პროცენტი, ხოლო სრულიად დამპალი — 2,4 პროცენტი.

ხილისა და ბოსტნეულის ხარისხს ზოგჯერ ისიც აფარებს, რომ მიმღებ პუნქტებში მისი შენახვის წესებს არ იცავენ. გარდაბნის მიმღებ პუნქტში დამპალ პროდუქტებს იქვე ეზოში ყრიან. დგას ანტისანიტარია. ასევეა სხვა მიმღებ პუნქტებშიც. მათთვის მაგალითის მიმცემია თვით თბილხილბოსტანეაჭრობის მთავარი ბაზა. ხილის საწყობთან აქაც უხვად ყრია დამპალი პროდუქტები, ნარჩენები და სხვ. საწყობის გამგე ბ. ჭეიშვილი რატომღაც სისუფთავისადმი გამწყრალია.

ყოველივე ეს იციან საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში, რომლის მუშაკები მოვალენი არიან დამაყარონ წესრიგი საჟაჭრო სისტემაში.

დროზე და უხვად შემოვზიდოთ ხილი და ბოსტნეული, არ მოვაკლოთ იგი ჩვენი დედაქალაქის მშრომელებს. ასეთია ახლა ვაჭრობის მუშაკთა და დამამზადებელთა ამოცანა, რაც წარმატებით უნდა გადაწყდეს.

დ. ბიწაძე,
რ. ჭიჭინაძე.

თბილისის 1500 წლისთავისათვის

თბილისი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

პროფესორი ზოთა მესხია

XVIII საუკუნის მეორე ნახევარი ჩვენი დედაქალაქის ისტორიაში მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა: XVIII საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს გაძარცული და დანგრეული ქალაქის აღდგენა, მოშლილი საქალაქო წყობილების განახლება, თბილისის ეკონომიური და სოციალური ცხოვრების აღორძინება; ამას გარდა, თბილისის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მისი გადაქცევა XVIII საუკუნის სამოციანი წლებიდან ქართლ-კახეთის ერთიანი სამეფოს სატახტო ქალაქად.

საკმაო დრო და საგანგებო ღონისძიებანი დასჭირდა თბილისს ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში მიყენებული მძიმე ჭრილობის მოშუშებისათვის. თბილისის სამეურნეო-ეკონომიური ცხოვრების აღორძინების მიზნით ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლებამ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა: აღადგინა ქართული საქალაქო წესწყობილება, მრავალი შელავი და პრივილეგია მიანიჭა ქალაქის მოსახლეობის ზედა ფენას, ხელახლა განაზღვრა ქალაქის მოხელეთა უფლებამოვალეობა; ამას გარდა, თბილისში წარმოების გაფართოების მიზნით, ქართლ-კახეთის მეფე ცდილობდა მეზობელი თუ შორეული ცენტრებიდან, განსაკუთრებით რუსეთიდან, გადმოეყვანა კაპიტალისტი-მეწარმენი და სხვადასხვა სპეციალისტი ოსტატები. იგი აგრეთვე გზავნიდა ახალგაზრდებს რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქალაქებში ამა თუ იმ სპეციალობის შესასწავლად და საქართველოში, თბილისში გადმოსაყვანად. ამ ღონისძიებებს მნიშვნელოვანი შედეგი ჰქონდა: თბილისში კვლავ აღორძინდა ხელოსნობა, იგი მთელი ქვეყნის ხელოსნური წარმოების ცენტრად იქცა. იმდროინდელ თბილისში ხელოსნის 60-მდე სხვადასხვა დარგს მისდევდნენ. XVIII საუკუნის თბილისი მნაველს აოცებდა მის ბაზარზე გამოტანილი ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმის მრავალფეროვნებითა და სიუხვით.

წმრილი სასაქონლო, ხელოსნური წარმოების გვერდით, XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან თბილისში ჩნდება და თანდათან მრავლდება შედარებით მსხვილი საწარმოებიც. იმ დროს თბილისში ამუშავდა „ზარბაზნებისა და მორტირების ჩამოსასხმელი ქარხანა“, მინის სარეწავი, საპნის სახარში, თოფისწამლის „ქარხანა“, ბარილსახდელი და სხვ. ამავე დროს ისევ ამოქმედდა სამეფო ზარაფხანა (ფულსაჭრელი ქარხანა), სტამბა და სამღებროები.

ზემოჩამოთვლილი სარეწავების უმეტესობა ეკუთვნოდა მეფეს ან მისი სახლის წევრებს, რომლებიც ამა თუ იმ მნიშვნელოვან სარეწავს იჯარით აძლევდნენ კერძო პირებს. ზოგი სარეწავის მფლობელი კიდევ თბილისელი დიდვაჭარ-მოქალაქე იყო. იჯარით გადაცემული სარეწავი მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა მის მფლობელს — მარტო ზარაფხანის იჯარით სამეფო ხელისუფლება წლიურად 30.000 მანეთს იღებდა.

მსხვილ სარეწავთა მოიჯარადრეებად თბილისში ჩვეულებრივ დიდ ვაჭარ-მოქალაქეები და შეძლებული ოსტატები იყვნენ, რომლებიც, რაკი საკუთარი ყმები არ ჰყავდათ, სარეწებში ხელოსნობისა და შავი მუშების დაქირავებულ შრომას იყენებდნენ. ასე რომ, ზემოდასახელებული სარეწავები არსებითად მანუფაქტურული ტიპის საწარმოები იყო. XVIII საუკუნის 70-იანი წლების თბილისში მანუფაქტურული წარმოების დანერგვა კი ფეოდალური ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებაში წინგადადგმული ისეთი ნაბიჯი იყო, რომელიც მას ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის გზაზე აყენებდა.

ხელოსნური და მანუფაქტურული წარმოების განვითარებამ გააფართოვა თბილისის საშინაო და საგარეო ვაჭრობა. საგარეო ვაჭრობის აღორძინებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე რამდენიმე საუკუნის წინათ ჩაკეტილი დარიალის სავაჭრო გზის გახსნას XVIII საუკუნის შუა წლებიდან. ამ გზით თბილისი და მისი ვაჭრები რუსეთის მზარდ ქალაქებს კიდევ უფრო დაუკავშირდნენ. ამ დროიდან მოკიდებული თბილისელმა ვაჭრებმა იწყეს მიმოსვლა არა მარტო ასტრახანში, მოზდოკსა და ყიზლარში, არამედ ნიჟნი ნოვგოროდსა („მაკარია“) და მოსკოვშიც. კიდევ უფრო გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდა თბილისს იმდროინდელი აღმოსავლეთის ქალაქებთან.

დიდი რაოდენობით გადიოდა თბილისური საქონელი არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, არამედ კავკასიის მთიანეთშიც. იმდროინდელი რუსული ცნობით, თბილისის წვრილი მრეწველები კავკასიის მთის ხალხებსა და ირანელ მეზობლებს აწვდიდნენ სპილენძის ჭურჭელს, ცხენის აკაზმულობას, ხმლებსა და ხანჯლებს, წვრილ რკინეულს, ტანსაცმელს, ქუდებსა და ფეხსაცმელს. ამრიგად თბილისის ხელოსნური თუ მანუფაქტურული ნაწარმი კავკასიის მთის მოსახლეობის ფართო მოხმარების საგანს შეადგენდა. ამრიგად, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის თბილისი თანდათან იკუთვნებდა არა მარტო საქართველოს, არამედ აგრეთვე კავკასიის ეკონომიური ცენტრის როლს. ესეც იმდროინდელი თბილისის ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან გარდატეხათა მაუწყებელი იყო.

ვაჭრობის გაფართოებასა და წარმოების განვითარებასთან ერთად დიდდებოდა თბილისში სავაჭრო-სახელოსნო დუქანთა რაოდენობა. თუ XVIII საუკუნის დამდეგისათვის ქალაქში დაახლოებით 200 დუქანი იყო, ამავე საუკუნის 80-იანი წლებისათვის მათი რაოდენობა ორნახევარჯერ გაზრდილა. რუსი პოლკოვნიკის ს. ბურნაშევის ცნობით, იმ დროს თბილისში 500-მდე დუქანი იყო. მომრავლდა ქალაქის მოსახლეობაც. ოფიციალური ცნობით, 1770 წლის აპრილისათვის თბილისში „4.000 კომლი ქართველი, სომეხი, ფრანგი და თათარი“ ცხოვრობდა. ამავე წელს აკად. ი. გილდენშტედტის ცნობით, ეპიდემიამ თბილისში 4.000 კაცი იმსხვერპლა, ხოლო დარჩენილი მოსახლეობის რაოდენობა კიდევ 20.000 იყო. ასე რომ, XVIII საუკუნის 60-70-იანი წლებისათვის თბილისის მოსახლეობას დაახლოებით 24 ათასამდე მიუღწევია.

XVIII საუკუნის 70-80-იანი წლებიდან საგრძნობი ცვლილებები ხდება თბილისის მოსახლეობის სოციალურ ცხოვრებაშიც. მართალია ფეოდალური თბილისის მოსახლეობის მწარმოებელ ფენას ჯერ კიდევ უმთავრესად სხვადასხვა კატეგორიის ყმები შეადგენდნენ, მაგრამ უკვე შესამჩნევია ქალაქში ყმათა კატეგორიებს შორის არსებული განსხვავების მოსპობის, აგრეთვე თავისუფალ მწარმოებელთა რაოდენობის თანდათან მომრავლების ტენდენცია. ამასთან როგორც ეკონომიურად, ისე უფლებრივად კიდევ უფრო ძლიერდებოდა სამფო ხელისუფლების მიერ პრივილეგიამინიჭებული მსხვილ ვაჭარ-მოქალაქეთა ფენა. ზოგ მათგანს 50.000 მანეთზე მეტი კაპიტალი ჰქონდა. გარდა ამისა, მოქალაქეები უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და თანდათან ამეღებდნენ სპილენძის ჭურჭელს, ცხენის აკაზმულობას, ხმლებსა და ხანჯლებს, წვრილ რკინეულს, ტანსაცმელს, ქუდებსა და ფეხსაცმელს. ამრიგად თბილისის ხელოსნური თუ მანუფაქტურული ნაწარმი კავკასიის მთის მოსახლეობის ფართო მოხმარების საგანს შეადგენდა. ამრიგად, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის თბილისი თანდათან იკუთვნებდა არა მარტო საქართველოს, არამედ აგრეთვე კავკასიის ეკონომიური ცენტრის როლს. ესეც იმდროინდელი თბილისის ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან გარდატეხათა მაუწყებელი იყო.

ვაჭრობის გაფართოებასა და წარმოების განვითარებასთან ერთად დიდდებოდა თბილისში სავაჭრო-სახელოსნო დუქანთა რაოდენობა. თუ XVIII საუკუნის დამდეგისათვის ქალაქში დაახლოებით 200 დუქანი იყო, ამავე საუკუნის 80-იანი წლებისათვის მათი რაოდენობა ორნახევარჯერ გაზრდილა. რუსი პოლკოვნიკის ს. ბურნაშევის ცნობით, იმ დროს თბილისში 500-მდე დუქანი იყო. მომრავლდა ქალაქის მოსახლეობაც. ოფიციალური ცნობით, 1770 წლის აპრილისათვის თბილისში „4.000 კომლი ქართველი, სომეხი, ფრანგი და თათარი“ ცხოვრობდა. ამავე წელს აკად. ი. გილდენშტედტის ცნობით, ეპიდემიამ თბილისში 4.000 კაცი იმსხვერპლა, ხოლო დარჩენილი მოსახლეობის რაოდენობა კიდევ 20.000 იყო. ასე რომ, XVIII საუკუნის 60-70-იანი წლებისათვის თბილისის მოსახლეობას დაახლოებით 24 ათასამდე მიუღწევია.

XVIII საუკუნის 70-80-იანი წლებიდან საგრძნობი ცვლილებები ხდება თბილისის მოსახლეობის სოციალურ ცხოვრებაშიც. იყვნენ ითსეფ ემინი, შაამირ შაანირიანი და სხვები.

კიდევ უფრო გაიზარდა იმდროინდელი თბილისის როლი ქართული კულტურის შემდგომი განვითარების საქმეშიც. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისში, კერძო სასწავლებლების გვერდით, გაიხსნა სახელმწიფო სკოლებიც. 1755 წელს თბილისში დაარსებული ფილოსოფიის სემინარია ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი იყო. ამ სემინარიაში იმდროინდელი არაერთი სახელოვანი მოღვაწე აღიზარდა. XVIII საუკუნის შუა წლებში თბილისში აღდგენილ და განახლებულ იქნა, ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს აოხრებული ქართული სტამბა. იგი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მუშაობდა და ქართულ ნაბეჭდ წიგნებს აწვდიდა საქართველოს ყოველ კუთხეს. თბილისში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დაარსდა ქართული პროფესიული თეატრი, გაიზარდა წიგნსაცავების რაოდენობა.

კიდევ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეთა დასი. იმ დროის თბილისის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა, მეცნიერებისა და კულტურის ფრონტის სახელოვან მუშაკთა რიცხვს ეკუთვნიან ერეკლე II, ანტონ I, სოლომონ ლიონიძე, გარსევან ჭავჭავაძე, გაიოზ რექტორი. დავით და იოანე ბაგრატიონები, ბესიკი, საიათნოვა, სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი და მრავალი სხვა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აღორძინებული თბილისის სოციალურ-ეკონომიურ შინაარსს შეესაბამებოდა მისი გარეგნული სახეც. იმდროინდელი თბილისის ძირითად რაიონს „ციხის უბანი“ ანუ „სასახლის უბანი“ შეადგენდა, სადაც ფეოდალური არისტოკრატია და მოქალაქეთა მდიდარი ზედაფენა იყრიდა თავს. მეორე რაიონი კი ვაჭარ-ხელოსანთა რაიონი იყო, რომელი

საბჭოთა მთავრობის ნოტა იტალიის მთავრობისადმი

სსრ კავშირის მთავრობამ 26 აგვისტოს იტალიის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც მოაგონებს, თუ რა მძიმე პასუხისმგებლობა ეკისრება იტალიის მთავრობას იმის გამო, რომ ხელს უწყობს ლიბანსა და იორდანიაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო ინტერვენციას.

როგორც აღნიშნულია საბჭოთა ნოტაში, იტალიის მთავრობა თავის 10 აგვისტოს სამახსოვრო ბარათში არ უარყოფს იმ ფაქტებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი იყენებენ ბაზებს იტალიის ტერიტორიაზე, რათა გადაიყვანონ თავიანთი შეიარაღებული ძალები ახლო და შუა აღმოსავლეთში. ამით იტალიის მთავრობა არსებითად აღიარებს, რომ ხელს უწყობს ამერიკა-ინგლისის სამხედრო ინტერვენციას ლიბანსა და იორდანიაში.

საბჭოთა მთავრობის ნოტაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის თვითმფრინავთა გადაადგილება სულაც არ არის სამშვიდობო გადაადგილება როგორც ამის მტკიცებას ცდილობს იტალიის მთავრობა. ნოტა უარყოფს როგორც ყოვლად დაუსაბუთებელს იტალიის მთავრობის იმ ცდებს, რომ ახლო აღმოსავლეთში ინგლის-ამერიკის სამხედრო აგრესიისათვის თავისი ხელისშეწყობა დაფაროს იმის მომიზეზებით, თითქოს საბჭოთა კავშირი რაღაც „უგულებელყოფას“ იჩენდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი.

სსრ კავშირის მთავრობა აღნიშნავს, რომ იტალიის 10 აგვისტოს პასუხი არსებითად ადასტურებს საბჭოთა მთავრობის 1 აგვისტოს განცხადებას იმის შესახებ, რომ იტალიის რესპუბლიკის მთავრობა ხელს უწყობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ინტერვენციას ლიბანსა და იორდანიაში.

რუმინეთში გამოვიდა ლენინის ნაწარმოებთა კრებული

ბუქარესტი, 26 აგვისტო. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა კრებული „ვ. ი. ლენინი საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის შესახებ“.

კრებული გამოშვებულია მასობრივი ტირაჟით.

საბჭოთა ჰოსპიტლის მშენებლობა პნომ-პენში

პნომ-პენი, 26 აგვისტო. (საკდესი). კორესპონდენტი ლ. ვოლნოვი). კამბოჯის დედაქალაქ პნომ-პენში საბჭოთა ჰოსპიტლის მშენებლობის ხელმძღვანელმა ა. ვ. ტოროპცევმა დღეს საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ილაპარაკა მშენებლობის მსვლელობაზე.

უკანასკნელ თვენახევარში ჰოსპიტლის სამშენებლო მოედანზე მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა. ამოჭყავთ ტუბერკულოზის, რადიოლოგიის, ინფექციური და სხვა კორპუსების კედლები. დაიწყო ძირითადი კორპუსის სძირკვლის ჩაყრა, დაბეტონებულია ჰოსპიტლისაკენ მიმავალი გზატკეცილის უბანი.

ამჟამად განხორციელებულია ყველა სამშენებლო სამუშაოს თითქმის სრული მექანიზაცია. ეს შესრულდა საბჭოთა მოწყობილობის ფართოდ გამოყენების შედეგად, რომელიც კამბოჯას ეგზავნება. მშენებლობაზე მუშაობენ 20 სატვირთო თვითმცლელი ავტომანქანა, კომბინირებული ექსკავატორი, რომელიც არა მარტო გრუნტს იღებს, არამედ აგრეთვე გამოყენებულია როგორც ამწე, და სხვა მექანიზმები. ამუშავდა ელექტროსადგური.

საბჭოთა კავშირიდან ივნისში მიღებულია 2.100 ტონა წონის ტვირთის პირველი პარტია. ამას წინათ მოვიდა საშენი მასალებისა და მექანიზმების ახალი პარტია, რომლის საერთო წონა 1.500 ტონას შეადგენს. უახლოეს ხანში მოსალოდნელია მშენებლობამ მიიღოს კოშკურა ამწეები და სხვა მოწყობილობა.

საბჭოთა ჰოსპიტლის, რომელიც საბჭოთა ხალხის საჩუქარია კამბოჯის ხალხისადმი, აგება მარტო მნიშვნელოვანი წვლილი როდია კამბოჯის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში; სამშენებლო მოედანი წარმოადგენს აგრეთვე კამბოჯელ მშენებელთა მომზადების კარგ სკოლას. ახლა ჰოსპიტლის მშენებლობაზე მუშაობს 1.200 ადგილობრივი მუშა და 11 საბჭოთა სპეციალისტი, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ კამბოჯელებს.

პნომ-პენის მოსახლეობა დიდი ინტერესით აღევნებს თვალყურს მშენებლობის მსვლელობას. სამშენებლო მოედანზე ხშირად იკრიბებიან ადამიანთა დიდი ჯგუფები.

ამას წინათ ჰოსპიტლის მშენებლობა დაათვალიერა ჯანმრთელობის საქმეთა სახელმწიფო მდივანმა უნგ ხონგ სარმა. გუშინ მშენებლებს ესტუმრა საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი პხლეკ ხატი. ჩემზე, თქვა პხლეკ ხატმა, ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სამუშაოთა მასშტაბმა და საბჭოთა ტექნიკამ. იმედი გვაქვს, დასძინა მან, რომ ჰოსპიტლის მშენებლობის დამთავრებისათვის ჩვენ გვეყოლება კამბოჯელ სპეციალისტთა მტკიცე ბირთვი.

ბრიუსელის გამოფენის საბჭოთა პავილიონში

ბრიუსელი, 26 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ბრიუსელში ჩამოვიდა საზოგადოება „ლუსებურგი-სსრ კავშირის“ დელეგაცია, რომელმაც დაათვალიერა მსოფლიო გამოფენის საბჭოთა პავილიონი. დათვალიერების შემდეგ დელეგაციის ხელმძღვანელმა საზოგადოების სპატიო თავმჯდომარემ რენე ბლუმმა განაცხადა: „საბჭოთა პავილიონის დათვალიერებამ განგვიმტკიცა საბჭოთა კავშირის დიადი მომავლის რწმენა, საბჭოთა კავშირისა, რომელთანაც მტკიცე და ურღვევი მეგობრობა გვაკავშირებს“.

საბჭოთა პავილიონის კინოთეატრში დელეგაციის წევრებს უჩვენეს რამდენიმე საბჭოთა დოკუმენტალური ფილმი.

დღეს ბრიუსელის გამოფენის საბჭოთა პავილიონს ეწვია ჰოლანდიის დედოფალი იულიანა.

ჟურნალისტთა საერთაშორისო სოლიდარობის მომავალი დღე

პრაღა, 26 აგვისტო. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ლეპეშათა სააგენტო იუწყება:

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის IV კონგრესის გადაწყვეტილებით, რომელიც 1958 წლის მაისში გაიმართა ბუქარესტში, 8 სექტემბერი — ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გმირის იულიუს ფუჩიკის გარდაცვალების დღე აღინიშნება როგორც ჟურნალისტთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე.

გაიხსნა ევროპის კულტურის საზოგადოების გენერალური ასამბლეა

რომი, 26 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ვენეციაში გაიხსნა გენერალური ასამბლეა, ევროპის კულტურის საზოგადოებისა, რომლის მონაწილეა სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი. ამ ასამბლეაში მონაწილეობს საბჭოთა კავშირის 15 წარმომადგენელი, მათ შორის ერენბურგი, პოლევოი, ნეკრასოვი და პასტერნაკი.

გახსნა რა ასამბლეა, საზოგადოების გენერალურმა მდივანმა პროფესორმა კამპანიოლომ სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ იტალიის ხელისუფლებმა იტალიაში შესვლის ნება არ დართეს საბჭოთა ინტელიგენციისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ინტელიგენციის ბევრ წარმომადგენელს. ამრიგად, თქვა კამპანიოლომ, საზოგადოებას ხელი შეუშალეს იმაში, რომ შეასრულოს თავისი ძირითადი ამოცანა — ხელი შეუწყოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურის წარმომადგენელთა ერთიმეორესთან შეხვედრებსა და გასაუბრებას.

საფრანგეთის საზოგადოებრიობა მოითხოვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცნობას

პარიზი, 26 აგვისტო. (საკდესი). უკანასკნელ დროს საფრანგეთის პრესაში სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები, რომლებიც მოუწოდებენ, რომ ცნონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. გაზეთმა „კომბატმ“ დღეს მოათავსა სტატია, რომელშიც მოითხოვს, რომ დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდეს საფრანგეთსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის. სტატიაში ხაზგასმულია, რომ საფრანგეთმა უნდა ცნოს სახალხო ჩინეთი და ამით მაგალითი უჩვენოს სხვა ქვეყნებს, არ უნდა მიჰბაძოს ამ საკითხში ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ნერუს გამოსვლა

დელი, 26 აგვისტო. (საკდესი). გახსნა რა დღეს ინდოეთის შტატების საბჭოში კამათი საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, პრემიერ-მინისტრმა ნერუმ კმაყოფილება გამოთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის შედეგების გამო.

მან აღნიშნა: ის ფაქტი, რომ არაბთა ქვეყნებმა ერთობლივი რეზოლუცია შეიტანეს, მოწმობს, რომ მტკიცდება არაბთა ქვეყნების თანამშრომლობა. ნერუმ თქვა: თუმცა დაძაბული ვითარება დასავლეთ აზიაში ახლა შენელდა, მაგრამ ამ რაიონის ძირითადი პრობლემები ჯერ კიდევ გადაუჭრელია.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა მკვეთრად გააკრიტიკა ბაღდადის პაქტი და სეატოს პაქტი. ამასთან ხაზი გაუსვა, რომ ეს პაქტები უგულებელყოფენ აზიის ნამდვილ მამოძრავებელ ძალებს. ნერუმ მკვეთრად დაგმო სამხედრო ხასიათის მიდგომა აზიის პრობლემების გადაჭრისადმი ბაღდადის პაქტისა და სეატოს საშუალებით.

შემდეგ ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა, ინდოეთი შეშფოთებულია იმით, რომ პაკისტანი განუწყვეტლივ იარაღდებაო.

შეეხო რა მდგომარეობას შორეულ აღმოსავლეთში, ნერუმ თქვა, რომ ჩანკაიშელ ხელისუფალთა მიერ ჩინეთის სანაპირო კუნძულების კუემასა და მაძუს ოკუპაცია განხეთქილების მუდმივი წყაროა ამ რაიონში.

მასობრივი მიტინგი კაიროში

კაირო, 26 აგვისტო. (საკდესი). 7.000-ზე მეტი კაცი დაესწრო გუშინ მასობრივ მიტინგს, რომელიც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნულმა კავშირმა მოაწყო. მიტინგზე გამოვიდნენ არაბი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომლებმაც მოითხოვეს, რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის რეზოლუცია, მტკიცედ მოითხოვეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა ლიბანიდან და იორდანიიდან.

მიტინგის მონაწილენი, ნათქვამია მიღებულ რეზოლუციაში, მოითხოვენ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ჯარების უსწრაფესად გაყვანას არაბული მიწაწყლიდან, ისინი მიესალმებიან ერაყის რევოლუციას და ულოცავენ ერაყის ხალხს ბრწყინვალე გამარჯვებას.

მიტინგის მონაწილეებმა აგრეთვე სავსებით დაუჭირეს მხარი იმ ხალხების მოძრაობას, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმის წინააღმდეგ და, კერძოდ, ალჟირისა და სამხრეთ არაბეთის ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას. მათ სამარცხვინო ბოიზე გააკრეს იორდანიის ხელისუფალთა ტერორისტული მოქმედება იმ პატრიოტების მიმართ, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის უღლისაგან თავიანთი ქვეყნის განთავისუფლებისათვის.

მოკამეჯ ელ-ბაჯრი კაიროს ჩავიდა

კაირო, 26 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბაღდადიდან კაიროს ჩამოვიდა ირაკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე მემკვიდრე პრინცი მოჰამედ ელ-ბაჯრი. კაიროში იგი განაგრძობს მოლაპარაკებას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერთან.

ლახეჯის სულთანის მოთხოვნა

კაირო, 26 აგვისტო. (საკდესი). პრესის ცნობებით, ლახეჯის (არაბული სამთავრო არაბეთის ნახევარკუნძულზე) სულთანმა აღი აბდელ ქარიმმა არაბთა ქვეყნების ლიგის გენერალურ მდივანს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც მოუწოდებს არაბთა სახელმწიფოებს განიხილონ სამხრეთ არაბეთში ინგლისის აგრესიის შედეგად შექმნილი მდგომარეობა და წამოაყენონ ეს საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის განსახილველად.

მორიგი პროვოკაცია მშვიდობის საქმის წინააღმდეგ

ტოკიო, 26 აგვისტო. (საკდესი). ვითარების გამწვავება შორეულ აღმოსავლეთში, რაც მოჰყვა ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის გადასხმას სინგაპურში და ჩანკაიშელთა ხროვის პროვოკაციულ მოქმედებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, იწვევს იაპონიის საზოგადოებრიობის შეშფოთებას. აქ შეშფოთებით აქცევენ ყურადღებას ამერიკის შეერთებული შტატების მეშვიდე ფლოტის საეჭვო მანევრებს ტაივანის სრუტის წყლებში, აგრეთვე იაპონიაში ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის განცხადებას იმის შესახებ, რომ მის განკარგულებაში მყოფი სამხედრო გემები და საზღვაო ქვეითი ჯარი საბრძოლო მზადყოფნაშია. ამავე დროს იაპონიის პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ დღეს ტოკიოში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრი ბრაკერი, რომელიც უნდა ეწვიოს აგრეთვე სამხრეთ კორეასა და ტაივანს, აგრეთვე ცნობა, რომ ტოკიოში ჩამოვიდა წყნარ ოკეანეში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ადმირალი ფელტი.

იაპონიის პროგრესულ საზოგადოებრიობას ყოველივე ეს მიაჩნია ამერიკის შეერთებული შტატების მორიგ პროვოკაციად, რაც ითვალისწინებს შუა აღმოსავლეთის მსგავსი ახალი კრიზისის შექმნას.

გამოხატავს რა საზოგადოებრიობის ამ აზრს, გაზეთი „აკახატა“ წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება შორეულ აღმოსავლეთში ეწინააღმდეგება ხალხთა მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებებს, რაც გამოითქვა განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სტოკჰოლმის კონგრესზე და ატომგულის იარაღის აკრძალვისა და განიარაღების საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ამას წინათ ვაიმანთა ტოკიოში. ეს ახალი აშკარა პროვოკაცია მშვიდობის საქმის წინააღმდეგ, აცხადებს გაზეთი, განუყოფლად უკავშირდება შეიარაღების გაგზავნას შუამხეთეთათვის ინდონეზიაში, სამხრეთ კორეის ატომური შეიარაღების გაძლიერებას და სამხედრო ბაზების ვანმტკიცებას სამხრეთ ვიეტნამში. სავსებით ცხადია, აღნიშნავს „აკახატა“, რომ ყოველივე ამის მიზანია არ დაუშვას საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

„რეფერენდუმი მოეწყობა იარაღის მუქარით“

კაირო, 26 აგვისტო. (საკდესი). ალჟირის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წარმომადგენლობამ კაიროში განაცხადა, რომ, ცნობების თანახმად, რომელიც მან მიიღო, საფრანგეთის ხელისუფლები ალჟირში იყენებენ ტერორისტულ მეთოდებს, აიძულებენ ალჟირელებს გატარდნენ რეგისტრაციაში, რათა მონაწილეობა მიიღონ რეფერენდუმში საფრანგეთის ახალი კონსტიტუციის საკითხზე.

მთელი ალჟირელი ხალხი, ნათქვამია განცხადებაში, უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს რეფერენდუმში, რომელსაც თავს ახვევენ მას. ამიტომ ხელისუფლები იყენებენ ტერორის უპრეცედენტო მეთოდებს, დევნიან მათ, ვინც გამოდის რეფერენდუმის მოწყობის წინააღმდეგ. საფრანგეთის ჯარები ხელს უშლიან ალჟირის მოსახლეობის სურსათით მომარაგებას, რის შედეგად მთელ რიგ სოფლებში შიმშილობაა.

„ალჟირის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი, — ნათქვამია დასასრულ განცხადებაში, — გმობს რეფერენდუმის მოწყობას და არ დაეთანხმება მის შედეგებს იმიტომ, რომ რეფერენდუმი მოეწყობა იარაღის მუქარით“.

„იმპერიალისტთა მორიგი მანევრი“

ბაღდადი, 26 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „ალ-ბილადი“, რომელიც ბაღდადში გამოდის, აკრიტიკებს იორდანიის პრემიერ-მინისტრის რიფაის ამასწინანდელ განცხადებას იმის შესახებ, რომ იორდანიის მთავრობას თითქოს განზრახვა აქვს „მიაღწიოს შეთანხმებას ყველა არაბულ ქვეყანასთან“. გაზეთი წერს, რომ რიფაის ეს განცხადება იმპერიალისტთა მორიგი მანევრის შედეგია, რომლებიც ისწრაფვიან განამტკიცონ თავიანთი პოზიციები ახლო აღმოსავლეთში.

გამოცდილება გვიჩვენებს, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, რომ შეუძლებელია შეთანხმების მიღწევა არაბულ სამყაროში, სანამ არსებობს ქვეყნების ორი ჯგუფი — ერთი თავისუფალი, მეორე ჯგუფი, რომელიც იმპერიალისტთა ბატონობას განიცდის. ასეთ პირობებში არაბთა თავისუფალ ქვეყნებს მუდმამ კეუქრება საფრთხე, რომ გახდება ახალ იმპერიალისტურ შეთქმულებათა ობიექტი.

ახალი მთავრობის შექმნა აღმოსავლეთ პაკისტანში

კარაჩი, 26 აგვისტო. (საკდესი). როგორც კარაჩის რადიო იუწყება, აღმოსავლეთ პაკისტანში შეიქმნა ახალი მთავრობა, რომელსაც პაკისტანის თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ატაურ რაჰმანი მეთაურობს.

თბილისში ჩამოვიდა ზუგდიდის თეატრი

27 აგვისტოს თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდნენ ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი და სიმღერისა და ცეკვის რაიონული თვითმოქმედი ანსამბლი.

თბილისის ვაგზლის პერონზე სტუმრებს შეხვდნენ დედაქალაქის თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, კულტურის მოღვაწეები.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახელით სტუმრებს მიესალმა სამინისტროს თეატრების განყოფილების გამგე ი. გვინჭიძე, ქალაქის თეატრების მსახიობთა და რეჟისორთა სახელით გამოვიდა თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის მთავარი რეჟისორი შ. მესხი. მათ დიდი შემოქმედებითი წარმატება უსურვეს თეატრის მსახიობებს.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ე. ჩიქავამ.

ზუგდიდის თეატრის გასტროლები დაიწყება მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობაში 29 აგვისტოს მ. კვეტაძის პიესით „დიმიტრი თავდადებული“. თეატრის საგასტროლო რეპერტუარშია საუკეთესო დადგმები — პიესები ლ. მელორავას „კერპ-ჯიოტა“, რომინელი მწერალის მ. სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავი“ და „თეთრი ლოტოსი“ ინდური პოეზიის კლასიკოსის შუდრაკის „თიხის ეტლის“ მოტივების მიხედვით. დასკვნითი კონცერტი გაიმართება 2 სექტემბერს. შემდეგ თეატრის მსახიობები საგასტროლოდ გაემგზავრებიან რუსთავში. (საკდესი).

„საქართველოს ეკონომისტი“ № 8

გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ მორიგი, მერვე ნომერი.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები:

რ. მელაძე — მეურნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტემა; ნ. გომელაური — ორგანიზებულად გადავიყვანოთ საწარმოები შემოკლებულ სამუშაო დღეზე და მოვაწესრიგოთ შრომის ანაზღაურება; დ. დიასამიძე — საკოლმეურნეო პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდიკის შესახებ.

ეკონომიური აზრის ისტორიის განყოფილებაში დაბეჭდილია გ. თოდუას სტატია „სერგეი მესხი (დაბადების 75 წლისთავისთვის)“; თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია შ. კაკურიას სტატია „ქ. თბილისის მოსახლეობა ჩატარებულ აღწერათა შედეგების მიხედვით“.

კონსულტაციის განყოფილებაში მოთავსებულია პროფ. პ. მასლოვის სტატია „რა არის ეკონომეტრია“ და კ. ჩარკვიანის სტატია „საშუალო მოგება და ღირებულების გარდაქმნა წარმოების ფაზაზე“.

მიმოხილვის, საწარმოთა ეკონომიკისა და ინფორმაციის განყოფილებებში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: ე. კანდელაკი — საფანჯრე მინის წარმოების შექმნის საკითხისათვის; ნ. სანთელაძე — საქართველოს სსრ რძის მრეწველობის განვითარების შესახებ; ვ. ირემაძე — შრომის ნაყოფიერება ქუთაისის ლიტოპონის ქარხანაში; გ. სურმავა — სამგორის სარწყავი ზონის კოლმეურნეობათა განვითარების საკითხები; მ. ისხაკოვა — კოლმეურნეობებში ტრენინის მაღალი წარმადობით გამოყენების საკითხები; ა. მახარაშვილი, კ. მიროტაძე — მეხილეობის ადგილი გორის რაიონის კოლმეურნეობათა ეკონომიკაში.

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში დაბეჭდილია: ს. სოსელია — საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან; ა. ნარჩომაშვილი — სახელმძღვანელო ტყის მეურნეობის ორგანიზაციასა და დაგეგმვაში.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების საერთაშორისო კინოფესტივალზე

ტაშკენტი, 26 აგვისტო. (საკდესი). გრძელდება აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოფესტივალი. დღეს ფესტივალის მონაწილენი და სტუმრები, აგრეთვე მრავალი მაყურებელი გაეცნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, უკბეკეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ და მოსკოვის კინემატოგრაფისტების შემოქმედებას.

დიდი ინტერესი გამოიწვია ჩინეთის ახალმა მხატვრულმა ფილმმა „ლანლანი და დუნ დუნი“, რომელიც მიძღვნილია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალი, ბედნიერი ცხოვრებისადმი. უკბეკეთმა უჩვენა ორი მხატვრული კინოსურათი: „მისი დრო დადგება“ და „ჩვენი საყვარელი ექიმი“, აგრეთვე დოკუმენტური ნაწარმოებნი, „ფიქრები ბედნიერებაზე“ და „საუცხოო შუქი“, რომლებიც მოგვითხრობენ, თუ რა სოციალისტური გარდაქმნები ხდება რესპუბლიკაში. ყირგიზეთმა უჩვენა ფილმი — ზღაპარი „ლეგენდა გაყინული გულის შესახებ“. მაროკოს კინოხელოვნება წარმოდგენილი იყო ხუთი ფილმით „აქბარის ქალიშვილი“ და დოკუმენტური ქრონიკით მაროკოს ხელოვნების შესახებ.

ფესტივალის ფილმებს დიდი წარმატება აქვთ. ფესტივალის მონაწილე ქვეყნების დელეგაციების თანხმობით ბევრი მხატვრული და დოკუმენტური სურათი სადემონსტრაციოდ გადაეცა ქალაქის კინოთეატრებს. მათ შორის ინდოეთის მხატვრული ფილმი „გრიჰადევათა“, ცეილონის, ინდონეზიის, ჩინეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დოკუმენტური სურათები.

* * *

სურათზე: აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოფესტივალის მონაწილენი — დელეგატები უკბეკეთიდან, უზბეკეთიდან, პაკისტანიდან და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან სიუჟეტის დროს.

ფოტო მ. ტურსუნხოჯაევისა და კ. რაზიკოვისა (საკდესი).

პროფკავშირთა VI სპარტაკიადა

მოსკოვი, 27 აგვისტო. (ტელეფონით. სპეც. კორ.). ოთხი დღეა მიმდინარეობს შეუპოვარი ბრძოლა სხვადასხვა სახეობაში პროფკავშირთა VI საზაფხულო სპარტაკიადის ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად.

დღემდე გამართულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით სპორტის ყველა სახეობაში მდგომარეობა ასეთია: ლიდერობას კვლავ მოსკოვის გუნდი ინარჩუნებს. მომდევნო ადგილზე არიან უკრაინის, რსფსრ-ს, ლენინგრადის და საქართველოს სპორტსმენები.

მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, წარმატებით გამოდიან მძლეოსნები. ბირთვის კვრაში ქალთა შორის სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ზინინამ (ლენინგრადი), 80 მეტრზე თარჯრბენში პირველი ადგილი დაიკავა ელისეევამ. ძალოსნობაში სამი წონითი კატეგორიის შტანგისტთა გამოსვლების შემდეგ წინ არიან ლენინგრადის, რსფსრ და უკრაინის გუნდები. მსუბუქ წონაში უძლიერესი აღმოჩნდა სსრ კავშირის ჩემპიონი და რეკორდმენი ბუშუევი, რომელმაც სამჭიდში აჩვენა 377,5 კილოგრამი.

რამდენიმე დღეა მიმდინარეობს კლასიკურ მოჭიდაკეთა ასპარეზობა. წინ არიან უკრაინის, ბელორუსიისა და საქართველოს გუნდები.

გრძელდება შეჯიბრება სასტენდო სროლაში. ადგილიდან სროლაში საქართველოს მსროლელებს საგანელიძისა და მაჩხანელს მესამე და მეექვსე ადგილები უკავიათ.

მორიგი მატჩი საქართველოს კალათბურთელებმა გამართეს პირველობის მთავარ პრეტენდენტთან — ესტონეთის გუნდთან და წაგებეს შეჯიბრება 44:51.

ტრამპლინიდან წყალში ხტომაში პირველი ხუთი ადგილი ასე განაწილდა: მოსკოვი, უკრაინა, ლენინგრადი, რსფსრ, საქართველო.

სპარტაკიადა გრძელდება.

დამთავრდა მსოფლიო პირველობა სროლაში

მოსკოვი, 27 აგვისტო. (სპეც. კორ.). გუშინ დედაქალაქში დაუშვეს მსოფლიო 37-ე ჩემპიონატის ალამი სროლაში.

უძლიერესთა 10 დღის ბრძოლის შედეგები საბჭოთა სპორტსმენების დიდი წარმატებით დამთავრდა. მათ 74 ოქროს მედალი და 6 პრიზი მოიპოვეს.

ინგლისის მსროლელებმა მოიპოვეს 6 ოქროს მედალი, ამერიკელებმა — 5, ჩეხოსლოვაკიელებმა — 4.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გათავისუფლა ამხ. ივანე გრიგოლის-ძე კაბანოვი სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა ხელმძღვანელ სამუშაოზე მისი გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ნიკოლოზ სიმონის-ძე პატოლიჩევი დანიშნა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გათავისუფლა ამხ. ნ. ს. პატოლიჩევი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.

რედაქტორი პ. რატიანი.

შეიძლება 100.000 მანეთის მოგება

ა. წ. 30 სექტემბერს ქ. მოსკოვში

შედგება სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა ორი ტირაჟი — 65-ე ძირითადი და მე-11 დამატებითი.

ტირაჟებში გათამაშდება **400, 1.000, 5.000, 10.000, 25.000** და **50.000** მანეთიანი მოგებანი.

ამას გარდა დამატებითს ტირაჟში გათამაშდება **100.000** მანეთიანი მოგება.

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები — ნაღდ ანგარიშზე.

შეიძინეთ სესხის ობლიგაციები, მონაწილეობა მიიღეთ მოგებათა ტირაჟში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკredიტის სამმართველო.

მომდინარე წლის 1 ოქტომბრიდან

გამოსვლას იწყებს რსფსრ მხატვართა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის ყოველთვიური ჟურნალი

«ХУДОЖНИК»

ჟურნალი მდიდრულად იქნება ილუსტრირებული მსოფლიო და რუსული საბჭოთა ხელოვნების ნაწარმოებთა რეპროდუქციებით.

ჟურნალი განკუთვნილია მხატვრებისათვის, მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებისა და მუზეუმებში მომუშავე სახალხო ხელოვნების ოსტატებისათვის, აგრეთვე — მკითხველთა ფართო წრეებისათვის.

ჟურნალი ოქტომბრიდან წლის ბოლომდე ხელმოწერით ღირს 36 მანეთი.

„სოიუზპეჩატი“.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

1958-59 წლების სეზონისათვის უშვებს

აბონემენტთა

სერიას. თითო აბონემენტში შედის 10 სპექტაკლი, რომლის ფასი დაკლებულია 10 პროცენტით ნონინალურ ფასთან შედარებით.

ა) აბონემენტში შედის საოპერო და საბალეტო სპექტაკლები, აგრეთვე სპექტაკლები განახლებული დადგმებით.

ბ) ყოველ აბონემენტში შედის ბალეტი **„ოტელო“** სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატის **ვ. მ. ჭაბუკიანის** მონაწილეობით, აგრეთვე ერთი სპექტაკლი **ბასტროლიონორის** მონაწილეობით.

აბონემენტები გაიყიდება ნაღდ ანგარიშზე თეატრის სალაროებში და თეატრის რწმენებულების საშუალებით ა. წ. 1 სექტემბრიდან.

მიიღება შეკვეთები დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან.

ტელეგადაცემათა პროგრამა

28 აგვისტოსათვის

20.00 — საბჭოთა ალპინიზმის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა, 20.40 — კინოჟურნალი, 20.50 — ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური საქართველოში, 21.00 — გადაცემა ყიდლიდან — დავიწყებული ფირები.

ᲓᲦᲔᲡ

ფილარმონიის საზაფხულო თეატრში — მარიცა (ოდესის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი, დასაწყისი 8 ს. 30 წ.).

კინოთეატრებში

ოქტომბერი (დღისით), **ამირანი** (საზამთრო დღისით), **ფილარმონიის ბაღი, ამირანი** (საზაფხულო), **ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (მეწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი** — ოქროს სიმფონია, **ოქტომბერი** (საღამოს), **ამირანი** (საზამთრო საღამოს), **ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო და საზამთრო), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **კომუნარების ბაღი** — ვეფხისტყაოსნის სიკვდილი, **თბილისი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **ვაკის პარკი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების